ეროვნული ბიბლიოთეკა


# სარბიელი

სპორტული გაზეთი ხუთშაბათი 14 ივნისი 2007 №134 (3057) ფასი 50 თეთრი


# ალექსანდრე იაშვილი: ფრაიბურგი კარგი იყო, კარლსრუე უკეთესი იქნება



## ქართველი დიდების აკვანში

— იმედი მაქვს, სწორი გადაწყვეტილება მივიღე. „კარლსრუე" დიდი ტრადიციების გუნდია, გერმანიაში საკმაოდ ავტორიტეტული და სახელოვანი...

...ამ გუნდში გაიზარდნენ ოლივერ კანი, მეჰმეთ შოლი, თომას ჰესლერი... მოკლედ, ვფიქრობ, კარგი არჩევანი გავაკეთე და ახალ გუნდშიც კიდევ უფრო კარგად ვითამაშებ...

...ეს გუნდი ჩემი გადაბირებით ადრეც იყო დაინტერესებული, თუმცა მაშინ „ფრაიბურგში" დარჩენა ვამჯობინე...

...მეორე ბუნდესლიგის ხუთი გუნდისგან მქონდა სერიოზული წინადადება, ასევე „არმინიადან" და ჩემპიონ „შტუტგარტიდან"...

...დავრწმუნდი, რომ „კარლსრუესთვის" ერთი რიგითი ფეხბურთელი არ ვიქნებოდი, კონტრაქტის გაფორმებამდე ცალკე პრეზიდენტი მირეკავდა, ცალკე მენეჯერი და ცალკე მწვრთნელი...

კობა ინასარიძის ინტერვიუ ალექსანდრე იაშვილთან იხილეთ მესამე გვერდზე

## ლუქსემბურგი საპასუხოზე დაფიქრდა ჯუჯები თბილისშიც ჩამოვლენ

22 აგვისტოს საქართველოს ეროვნული ნაკრები ლუქსემბურგში ამხანაგურ მატჩს რომ გამართავს, ადრეც გაუწყეთ.

როგორც გაირკვა, ქართულმა მხარემ ლუქსემბურგელებს გაისად, 28 მარტს საპასუხო მატჩის ჩატარებაც შესთავაზა, თუმცა ევროპელებმა პირობა არ მიიღეს — ეს თარიღი ხელს არ გვაძლევსო.

ლუქსემბურგელთა თქმით, ისინი თბილისში აუცილებლად ჩამოვლენ გაისად (ოღონდ 28 მარტს არა) ან 2009 წელს. ზუსტ თარიღს მოგვიანებით შეატყობინებენ საქართველოს ფეხბურთის ფედერაციას და, თუ ჩვენებიც დათანხმდებიან, ყველაფერი მოგვარდება.

გავიხსენოთ, რომ საქართველო — ლუქსემბურგი აქამდე მხოლოდ ერთხელ შეხვედრიან ერთმანეთს: 2001 წელს ქალაქ მონერიხში ჩვენებმა გიორგი დემეტრაძის (ორჯერ) და რატი ალექსიძის გოლებით 3:0 იმარჯვეს. იმ მატჩში დემეტრაძემ პენალტიც გააცუდა...

ბახა ზალამბერიძე

## ანართოსისი ამზოზს, ქეცბაია უარყოფს... ცქიტიშვილის კვიპროსული ვარიანტი







საქართველოს ახალგაზრდული ნაკრების თავდამსხმელი გიორგი ჭელიძე მოსკოვის „ლოკომოტივმა“ ზამთარში გაანათხოვრა უკრაინულ ლუგანსკის „ზარიაში“ და იჯარის ვადაც ამ თვის ბოლოს იწურება. „პაჭელო“ „ზარიაში“ ნორმალურად ათამაშდა — მართალია, მხოლოდ ერთი გოლი გაიტანა, მაგრამ ძალიან ფასეული: მისი ბოლო წუთზე შეგდებულით ლუგანსკელებმა „კრივბასს“ მოუგეს და მას შემდეგ აცოცდნენ გასავარდნი ზონიდან. ჭელიძეს მალე მოსკოვში დაბრუნება მოუწევს, რათა „ლოკომოტივთან“ გაარკვიოს ურთიერთობა...

# გიორგი ჭელიძე: ალბათ ისევ ზარია

„თითქმის გადაწყვეტილია, რომ „ლოკომოტივი“ ისევ გამანათხოვრებს. ცხადია, არც მე მინდა ისეთ გუნდში ყოფნა, სადაც სათადარიგოთა სკამზე უნდა ვიჯდე. სავარაუდოდ, „ზარიაში“ კიდევ ექვსი თვე დავრჩები, ეს ლუგანსკელების სურვილიცაა და ჩემიც.“

გიორგის ამჟამად ტრავმა აქვს და უკრაინის ჩემპიონატის ბოლო ტურში ვერ ითამაშებს. „დნიპროსთან“ ოთხი დღის წინანდელ მატჩში შეჯახებისას ფეხი იღრძო და დაახლოებით ორ კვირაში ჩადგება მწყობრში.

ჭელიძე „ზარიაში“ მუდმივად ძირითადში არ თამაშობდა, თუმც ამას იმით ხსნის, რომ მის არყოფნაში ლუგანსკელებმა მოიგეს და მწვრთნელმა რამდენიმე მატჩში ძირითადი შემადგენლობა აღარ შეცვალა.

„სხვა მხრივ, მწვრთნელი მენდობა და ძირითადის ფეხბურთელად ვითვლები. ოღონდ, ცხადია, გარანტიას ვერავინ მოგცემს — თუ თამაში არ წაგივიდა, სკამზე დაგსვამენ. „ზარია“ არცთუ სუსტი გუნდია, ბოლო ტურებში კარგი ფორმა აკრიფა და როგორც ყველა ნორმალურ კლუბში, კონკურენცია აქაც იგრძნობა.“

გიორგის ლადო ბურდულის „ზარიაში“ შესაძლო გადასვლაზეც ვკითხეთ და გვითხრა, ლადოს გადმოყვანაზე ლაპარაკი მიდის, თუმც გადაწყვეტით ვერ ვიტყვი, რომ იგი აუცილებლად ჩვენი ფეხბურთელი გახდებაო.

5 ივნისი, საქართველო — ესპანეთის 21-წლამდელთა ნაკრებების მატჩი, რომელიც პირინეელებმა 1:0 მოიგეს, თუმც ჩვენებმა ძალიან კარგად და ქუიანად იბურთავეს. „პაჭელოს“ თამაში კი ესპანელთა მწვრთნელ ინაკი საესსაც მოეწონა...

„შედეგით ვერავინ იქნება კმაყოფილი, მაგრამ თამაშის ხარისხი კარგი იყო. სამწუხაროდ, ასპროცენტიანი საგოლე მომენტი ვერ გამოვიყენეთ. ფრედ რომ დამთავრებულიყო, ვერავინ იტყოდა, საქართველო ამას არ იმსახურებდაო. ისიცაა, რომ გამოუცდელი ფეხბურთელები გვყავდა. ბევრი ჩვენიანი ფორმაშიც არ იყო, რადგან საქართველოს ჩემპიონატი დასრულებულია, ესპანეთში კი ჩემპიონატი მიდის.“

გიორგის იმედი აქვს, რომ ამ შესარჩევ ჯგუფში საქართველო მეორე ადგილზე გავა და, შესაძლოა, ფინალურ ეტაპზეც მოხვდეს.

**ილია ნანოგაშვილი**

# ისევ ასეულის საზღვარზე საქართველო უკან-უკან

**ლიტვასთან** და საფრანგეთთან წაგებებით საქართველოს ნაკრები ხუთი ადგილით დაქვეითდა. 97-ე საფეხური — აი, ესაა ნაკრების რეალობა.

წინა თვის ფიფასეულ რეიტინგში საქართველოს და ლიტვას თანაბარი ქულები ჰქონდათ, თუმც ერთმა მოგებამ ლიტვა 13 ადგილით წინ გააქანა.

გულს იმით „ვიმშვიდებთ“, რომ რეიტინგის კენწეროში ორი ჩვენი თანაჯგუფელია: საფრანგეთმა ბრაზილიას გადაასწრო და მეორეზეა, ლიდერი კი ისევ მსოფლიო ჩემპიონი იტალიაა. ათეულის შორიახლო ტრიალებს ქართველთა კიდევ ერთი მეტოქე უკრაინა.

იმედია, საქართველოს ნაკრები მეორე ასეულში არ გადავარდება, თუმც ამასაც მიჩვეულები ვართ...

**ილია ნანოგაშვილი**

FIFA Coca-Cola WORLD RANKING

| | | | |
|---|---|---|---|
| 1 | 1 | იტალია | 1653 |
| 2 | 4 | საფრანგეთი | 1585 |
| 3 | 2 | ბრაზილია | 1484 |
| 4 | 5 | გერმანია | 1467 |
| 5 | 3 | არგენტინა | 1373 |
| 6 | 7 | პორტუგალია | 1327 |
| 7 | 9 | ესპანეთი | 1273 |
| 8 | 8 | ინგლისი | 1240 |
| 9 | 6 | ჰოლანდია | 1220 |
| 10 | 10 | ჩეხეთი | 1096 |
| 13 | 11 | უკრაინა | 1044 |
| 23 | 14 | შოტლანდია | 895 |
| 79 | 92 | ლიტვა | 404 |
| 97 | 92 | საქართველო | 337 |
| 186 | 185 | ფარერები | 18 |

I გრაფა – ადგილი; II – ადგილი წინა თვეში; III – ქვეყანა; IV – ქულა




საქართველოს პროფესიული ფეხბურთის ლიგა და ფეხბურთის ფედერაცია თბილისის ზაქარია ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის თეატრში, მართავს საფეხბურთო გალა-დაჯილდოების ცერემონიალს. ლაურეატები გამოვლინდებიან 11 ნომინაციაში. 2 მთავარი ნომინაციის მიხედვით დასახელდებიან საუკეთესო ლეგიონერი და საქართველოს ჩემპიონატის საუკეთესო ფეხბურთელი. მიღება გაიმართება 2007 წლის 19 ივნისს 19:30 წუთზე. ბილეთის ფასი: პარტერი-10 ლარი, ბალკონი-5 ლარი. საკონტაქტო ნომრები: საქართველოს პროფესიული ფეხბურთის ლიგა. ტელ.: +995-32-912671; +995-32-917126. პფლ-ს პრესსამსახური

# არსენალი ქართველების შანსიაო

**კიევის** „დინამომ“ ბოლოსწინა ტურში ქვეყნის ჩემპიონობა კი გაინაღდა, მაგრამ ოთარ მარცვალაძეს, კახა ალადაშვილსა და დავით იმედაშვილს ამაში წვლილი თითქმის არ მიუძღვით — თითებზე ჩამოსათვლელი მატჩები ითამაშეს და არც ოქროს მედლები ერგოთ.

„დინამო“ კვირას ბოლო ტურში კიევის „არსენალს“ ხვდება და ჩემპიონთა თავკაცმა ანატოლი დემიანენკომ თქვა, ახალგაზრდა ფეხბურთელებს მიეცემათ შანსიო. დემიანენკომ მათი გვარებიც ჩამოთვალა და ალადაშვილიც ახსენა.

ისე, ნაკლები შანსია, „არსენალთან“ თამაშმა ქართველებისთვის რამე შეცვალოს — სავარაუდოდ, სამივენი დატოვებენ „დინამოს“.

ალადაშვილმა გუშინ გვითხრა, ბოლო თამაშს ვუცდი, წასვლა გადაწყვეტილი მაქვს, იმედაშვილიც და მარცვალაძეც მიდიანო.

**ილია ნანოგაშვილი**

# აუხდენელი ოცნების იმედად

## მუჯირმა იცის, რომ ეს მოხდება



**სამარის** „კრილია სოვეტოვი“ მიმდინარე სეზონში ურიგოდ არ გამოიყურება და რუსების აზრით, მედლებისთვის ბრძოლის ერთ-ერთი სავარაუდო პრეტენდენტია. ამას კი, პირველ რიგში, ჩვენებურ დავით მუჯირს მიაწერენ.

„მუჯირი მრავალმხრივ განვითარებული შემტევი ნახევარმცველია. განსაკუთრებით კომფორტულად თავს თავდამსხმელების უკან გრძნობს. მას აქვს ძლიერი დარტყმა და შესანიშნავი დრიბლინგი, რის გამოც „კრილიას“ შეტევებს სიმწვავე ემატება“ — წერს ერთ-ერთი რუსული ვებგვერდი.

აქვე შეგახსენებთ, რომ მუმუ დიდი პოპულარობით სარგებლობს სამარელ გულშემატკივრებში და შარშანდელი სეზონის საუკეთესო ფეხბურთელად იქაურებმა სწორედ ჩვენებური აღიარეს. როგორც ჩანს, მუჯირი სუსტი სქესის წარმომადგენლებშიც პოპულარულია.

„სამარაში ფეხბურთს მარტო მამაკაცები არ უყურებენ, როგორც საქართველოსა და ავსტრიაში. აქამდე არსად მინახავს, რომ მამაკაცები და ქალები ფეხბურთს ერთნაირად აფასებდნენ. როდესაც მაყურებელს უყვარხარ, ორმხრივად სასიამოვნოა. არა მგონია, რომელიმე ფეხბურთელს ეს არ მოეწონოს“ — ამბობს მუჯირი.

რუს ჟურნალისტებს მუჯირმა ჯერჯერობით აუხდენელი ოცნებაც გაუმხილა.

„ბავშვობაში ვოცნებობდი, საქართველოს ნაკრების მაისურით ევროპის ან მსოფლიო ჩემპიონატის ფინალურ ეტაპზე მეთამაშა, რაც აუხდენელი სულაც არ მგონია. ჩემი ყველაზე ნათელი მატჩები ნაკრებში ჯერ არ მითამაშია“ — იმედს არ კარგავს მუჯირი.

**მიხეილ ჟორჟოლიანი**

## ევროპის 2009 წლის U-21 ახალგაზრდული ჩემპიონატი

A ჯგუფი. II ტური

ისრაელი 0:1 ბელგია

ჰოლანდია 2:1 პორტუგალია

### დანია

I დივიზიონი
გადადებული მატჩები

აკადემისკი 3:2 ფრემადი

ორჰუსი 3:1 იოლსტიკე

### ფინეთი

ვეიკაუსლიგა. X ტური

მიუპა 0:0 მარიეჰამნი

### შვედეთი

თასის მერვედფინალი

ვასბი 2:0 დიგერფორსი

### ისლანდია

პრემიერდივიზიონი. VI ტური

ვალიური — ვიკინგური

გვიან დამთავრდა

### ამხანაგური მატჩი

ერაყი 0:0 იორდანია

### კონკაკაფის ოქროს თასი 2007

B ჯგუფი. III ტური

აშშ 4:0 სალვადორი

ტრინიდადი 1:1 გვატემალა

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ალექსანდრე იაშვილი: ფრაიბურგში კარგი იყო, კარლსრუე უკეთესი იქნება




კლუბის გამოცვლა ფეხბურთში ჩვეულებრივი და ხშირი რამაა, მაგრამ ყველა წესს გამონაკლისებიც ახლავს... ალექსანდრე იაშვილს ლამის ყოველი სეზონის ბოლოს უწინასწარმეტყველებდნენ „ფრაიბურგიდან" წასვლას, მით უმეტეს, რომ სხვა გუნდების ყურადღება მას არასდროს აკლდა, იაშვილმა კი შვიდი წელი უერთგულა ამ კლუბს.

ასეთი ერთგულება გასაკვირად არ მოგვეჩვენება, თუ გავიხსენებთ, რას ნიშნავდა იაშვილი „ფრაიბურგისთვის", წლების მანძილზე ქართველი ფეხბურთელი ფრაიბურგელთათვის არა მხოლოდ გოლების გამტანი, კლუბის სახე და კაპიტანი იყო — კაპიტნები კი გუნდს იოლად ვერ ელევიან.

„ფრაიბურგში" შვიდი წლის წინ მისულმა იაშვილმა მერე კიდევ ორჯერ გააგრძელა კონტრაქტი და კლუბსაც არ ემეტებოდა დასათმობად, თუმცა ქართველი გულშემატკივარი მის უკეთეს გუნდში გადასვლას მუდამ ელოდა — ორი წლის წინ საუკეთესო ქართველ ფეხბურთელად აღიარებული იაშვილი ალალად იმსახურებდა ამას.

დასასრული კი ყველაფერს აქვს და ალექსანდრე იაშვილის ფრაიბურგელობაც დასრულდა. იაშკამ გუშინწინ „კარლსრუესთან" გააფორმა სამწლიანი კონტრაქტი და ამ გადასვლით პირველ ბუნდესლიგასაც დაუბრუნდა.

და ამ შვიდ წელიწადში პირველად მოხდა, რომ „ფრაიბურგის" წუხილი ჩვენი სიხარულია...

## ქართველი დიდების აკვანში

— იმედი მაქვს, სწორი გადაწყვეტილება მივიღე. „კარლსრუე" დიდი ტრადიციების გუნდია, გერმანიაში საკმაოდ ავტორიტეტული და სახელოვანი. მართალია, ბოლო წლებში კლუბს ჩავარდნა ჰქონდა და ბუნდესლიგაში დასაბრუნებლად რამდენიმე სეზონი დასჭირდა, მაგრამ ახლა ამბობენ, რომ ძველ დიდებას მალე დაიბრუნებენ. კარლსრუეში 30-ათასიანი სტადიონია და ის სულ სავსეა, ნამდვილი საფეხბურთო ქალაქია. ამ გუნდში გაიზარდნენ ოლივერ კანი, მეჰმეთ შოლი, თომას ჰესლერი... მოკლედ, ვფიქრობ, კარგი არჩევანი გავაკეთე და ახალ გუნდშიც კიდევ უფრო კარგად ვითამაშებ.

**— „კარლსრუესთან" მოლაპარაკებას დიდი ხანი დასჭირდა?**

— ეს გუნდი ჩემი გადაბირებით ადრეც იყო დაინტერესებული, თუმცა მაშინ „ფრაიბურგში" დარჩენა ვამჯობინე. მერე მოლაპარაკებები პერიოდულად გრძელდებოდა, კონკრეტული წინადადება კი „კარლსრუესგან" სეზონის დამთავრებისთანავე მივიღე. შემდეგ ყველა დეტალი შევათანხმეთ და საქმეც საბოლოოდ მოგვარდა — სამწლიანი კონტრაქტი გავაფორმეთ.

**— უკვე ჩავლილი ამბავია და, „კარლსრუეს" გარდა რომელი გუნდები გიწვევდნენ?**

— მეორე ბუნდესლიგის ხუთი გუნდისგან მქონდა სერიოზული წინადადება, ასევე „არმინიადან" და ჩემპიონ „შტუტგარტიდან"...

**— „შტუტგარტზე" უარი თქვი?**

— არა, საქმე აქამდე არ მისულა. „შტუტგარტს" ახალი სეზონისთვის რამდენიმე ფეხბურთელის დამატება სურს და მათ შორის ერთ-ერთი ვიყავი. ბოლოს ეს ტრანსფერი ან გამოვიდოდა, ან — არა, „შტუტგარტის" პასუხამდე ლოდინი მომიწევდა. ამ დროს კი „კარლსრუესგან", ფაქტობრივად, გამზადებული კონტრაქტი მომივიდა. თანაც, დავრწმუნდი, რომ „კარლსრუესთვის" ერთი რიგითი ფეხბურთელი არ ვიქნებოდი, კონტრაქტის გაფორმებამდე ცალკე პრეზიდენტი მირეკავდა, ცალკე მენეჯერი და ცალკე მწვრთნელი...

**— „კარლსრუემ" შენს გარდა უკვე სხვა ფეხბურთელებიც დაიმატა?**

— „ბაიერნიდან" გიორლიცი გადმოიბირეს, „კიოლნიდან" ტიმი, ასევე თითქმის გადაწყვეტილია, რომ ჩვენთან ითამაშებენ აინტრახტელი კრისტოფერ რაინჰარდი, უნტერჰახინგელი შტეფან ბუკი და კაიზერსლაუტერნელი ტამაშ ჰაინალი. ესენი საკმაოდ ძლიერი ფეხბურთელები არიან და ახალი სეზონიდან კარგი გუნდი უნდა გვყავდეს.

**— თუმცა ალბათ მაინც ბუნდესლიგაში ადგილის შენარჩუნებისთვის იბრძოლებთ...**

— ცხადია, ასე იქნება. საერთოდ, ბუნდესლიგაში პირველი შვიდი გუნდის გარდა ყველას გავარდნის საფრთხე აქვს და ჩვენც ასე ვიქნებით. ერთი სეზონის შემდეგ კი ევროტურნირების საგზურის მოპოვებას ვეცდებით.

**— ისე, „ფრაიბურგისა" და „კარლსრუეს" მატჩი გერმანიაში დერბია. ფრაიბურგელებმა კარლსრუეში შენი წასვლა როგორ მიიღეს?**

— განსაკუთრებული არაფერი ყოფილა, ქომაგობას გული კი დაწყდა, „ფრაიბურგი" რომ დავტოვე, მაგრამ... გუნდიდან წასვლა კარგა ხნის გადაწყვეტილი მქონდა და ჩემს ამ ნაბიჯს ყველა შეგუებული იყო. „ფრაიბურგი" — „კარლსრუეს" მატჩზე მაგარი დერბი კი მომავალ სეზონში იქნება: „კარლსრუე" — „შტუტგარტი" თავისი პრინციპულობით „შალკე" — „დორტმუნდი" და „მიუნხენი" — „ბაიერნი" ვერ არის, მაგრამ გერმანიაში ესეც გამორჩეულ შეხვედრად ითვლება.

**— თბილისში ჩამოსვლას როდის აპირებ?**

— არ ვიცი. დღე-დღეზე მეორე ბავშვს ველოდები და მერე ვნახოთ. ისე ცოტა ხანში მოსამზადებელი პერიოდიც დაიწყება და, თუ ჩამოვალ, ალბათ ერთი-ორი დღით...

**ქობა ინასარიძე**

# ლევან ცქიტიშვილი თემურ ქეცბაიასთან?



## ანართოსისმა ქართველი დაწერა




**შესაძლოა,** ლევან ცქიტიშვილი ბერძნული „პანიონიოსიდან" თემურ ქეცბაიას „ანართოსისში" გადავიდეს. 30 წლის ცქიტიშვილს საბერძნეთში არცთუ წარმატებული სეზონი ჰქონდა, პირველ წრეში „პანიონიოსის" გერმანელი მწვრთნელი ევალდ ლინენი არ ათამაშებდა, რის გამოც ლევანი ჯერ კიდევ ზამთარში აპირებდა კლუბის შეცვლას — შოთა არველაძის „ალკმაარში" ივარჯიშა კიდეც, თუმც კონტრაქტის პირობებზე ვერ შეუთანხმდა ჰოლანდიურ კლუბს.

მეორე წრეში ცქიტიშვილი „პანიონიოსის" სათადარიგოთა სკამს დაშორდა და ძირითადშიც ათამაშდა, თუმც კონტრაქტი დაუმთავრდა და, როგორც ჩანს, გაგრძელება აღარ ისურვა.

ცქიტიშვილის შესაძლო ტრანსფერი „ანართოსისის" ვებგვერდმა გაავრცელა, თუმც თემურ ქეცბაიას გუშინ რომ დავუკავშირდით, ეს ინფორმაცია არ დაგვიდასტურა — ჩემი ინფორმაციით, ლევანი საბერძნეთში რჩებაო.

ცნობისთვის: კვიპროსულ „ანართოსისს" ამ სეზონში ქართველი ფეხბურთელი არ ჰყოლია, თუ არ ჩავთვლით მოთამაშე-მწვრთნელ თემურ ქეცბაიას, რომლის თანაშემწედაც მალე ალბათ სოსო ჭედია დაინიშნება.

**ილია ნანობაშვილი**

# ონიანის შანსი კვირის ბოლო და 22 აგვისტო

რუსთავის „ოლიმპის" გაჩემპიონებაში თავისი წვლილი 23 წლის მცველმა გიორგი ონიანმაც შეიტანა. ახალგაზრდა ფეხბურთელის თამაში არც ნაკრების მწვრთნელ კლაუს ტოპმიოლერს გამორჩენია და წლეულს მეორედ უხმო ეროვნულ გუნდში, თუმც შარშან ალბანეთთან გამოძახების მსგავსად, ონიანს არც ამჯერად, საფრანგეთ-ლიტვასთან უთამაშია.

„ოლიმპის" მცველით მარტო ნაკრების თავკაცობა არ დაინტერესებულა. ონიანს მეორე ბუნდესლიგის იენის „კარლ ცაისიც" იწვევს.

მასთან საუბარი გუშინ ამ თემით დავიწყეთ...



— გერმანიიდან მიწვევას დღედღეზე ველი. ალბათ ყველაფერი ამ კვირის ბოლომდე გადაწყდება.

— „კარლ ცაისში" გასინჯვაზე მიდიხარ?

— არა მგონია. სავარაუდოდ, მალევე უნდა გავაფორმო კონტრაქტი.

— როგორ და როდის დაინტერესდნენ გერმანელები შენით?

— როგორც ვიცი, ეს კლუბი ორმა წამყვანმა მცველმა დატოვა და მათაც შევსება უნდათ. ასე დაინტერესდნენ ჩემით.

— საქართველო ნაკრების ხელმძღვანელობას არ გაუწევია რეკომენდაცია?

— როგორც ვიცი, არა.

— რადგან ნაკრებს შევეხეთ, ბარემ ამაზეც გკითხავ. უკვე მეორედ გამოგიძახეს, მაგრამ ისევ არ გითამაშია. როგორ ფიქრობ, რატომ არ მოგცა თამაშის შანსი კლაუს ტოპმიოლერმა?

— ვარჯიშებზე დაძაბული ნამდვილად არ ვყოფილვარ. ფეხბურთელთაგან რამდენიმეს ახლოს ვიცნობდი, დანარჩენებიც ნორმალურად შემხვდნენ. საერთოდ, ნაკრებში კარგი ატმოსფეროა. რაც შეეხება უთამაშებლობას, ეს მწვრთნელის გადასაწყვეტია. ტოპმიოლერმა უკვე ორჯერ გამომიძახა, მაგრამ მოედანზე არ გავსულვარ. არადა, ჩემთვის, ბუნებრივია, ნაკრებში თამაში უფრო მნიშვნელოვანია, ვიდრე ვარჯიში. ალბათ ტოპმიოლერი 22 აგვისტოს მომცემს შანსს, როგორც ვიცი, ამხანაგურ მატჩში ლუქსემბურგს ვეთამაშებით.

— გერმანიაში წასვლამდე ისვენებ?

— ფაქტობრივად, საერთოდ არ დამისვენია. სანაკრებო მატჩების შემდეგ ორი დღე „ოლიმპთან" ერთად ვივარჯიშე, ახლა დროებით ვისვენებ. წასვლამდე, ალბათ, კიდევ მოვახერხებ წავარჯიშებას.

**მიხეილ ჟორჟოლიანი**

# რევაზ ძოძუაშვილი: გუნდების დასახელებას ჯერ ნუ მომთხოვთ!

## ქართველმა თურქებს ხუთი დღით ჩააკითხა



რუსთავის „ოლიმპის" გამჩემპიონებელი მწვრთნელი რევაზ ძოძუაშვილი დროებით უმუშევარია, თუმც ადრევე ითქვა, რომ მას თურქული კლუბებიდან ჰქონდა შემოთავაზებები.

ეს წინადადებები ახლაც აქტუალურია, მაგრამ კლუბების დასახელება თავად ძოძუაშვილმა არ ისურვა.

„წინადადებები ისევ მაქვს, ხუთი დღე ვიყავი თურქეთში და კლუბებთან მოლაპარაკებებს ვაწარმოებდი, თუმც მათ დასახელებას ჯერ ნუ მომთხოვთ. მგონი, ყველამ კარგად იცის ჩემი ხასიათი, ყოველთვის ამბიციური გუნდი მყავდა და თურქეთშიც ასე იქნება. ყველაფერი თვის ბოლოს გადაწყდება" — გვითხრა გუშინ რევაზ ძოძუაშვილმა.

**მიხეილ ჟორჟოლიანი**

# მესხეთი ფინანსების ძიება-დაპირებაშია

ჯერჯერობით ისევ გაურკვეველია ახალციხის „მესხეთის" ბედი. გუნდმა საკმაოდ კარგი თამაში აჩვენა პირველ ლიგაში და დამსახურებულადაც მოიპოვა უმაღლესის ადგილი, თუმც საუმაღლესლიგოდ გუნდი ჯერ მზად არ არის — ფინანსური კრიზისი აქვს.

ამის მიუხედავად, გუნდის ხელმძღვანელობა იმედს არ კარგავს და ფიქრობს, რომ ერთ კვირაში ყველაფერი სასიკეთოდ გადაწყდება.

გუშინ კლუბის პრეზიდენტ გია მესხელს რომ შევეხმიანეთ, ეს გვითხრა: „ჯერჯერობით იმედი არ დაგვიკარგავს. შეპირებები არის და ყველაფერი 20 ივნისისთვის უნდა გადაწყდეს. ახლაც სტადიონზე ვარ და მინდორს ვრწყავთ, რათა სეზონს ნორმალურ მდგომარეობაში შევხვდეთ. პირველ წრეს ალბათ ახალციხეში ვითამაშებთ, მეორეს კი — ბორჯომში, რადგან „მესხეთის" სტადიონს რეკონსტრუქცია უნდა ჩავუტაროთ. ფინანსური საკითხების გადაწყვეტამდე ადგილობრივ ფეხბურთელებს შევკრებთ და ვარჯიშებს დავიწყებთ. თუ ღმერთის წყალობა იქნა და თანხებიც მოვიძიეთ, გუნდის გაძლიერებაზე ვიფიქრებთ" — გვითხრა მესხელმა.

**მიხეილ ჟორჟოლიანი**



# რატომაა ბავშვთა ფეხბურთი უმუშევართა თავშესაფარი?

## როცა მშობელი ბავშვზე მეტს დარბის, არაფერი გამოვა

საქართველოს 19 და 21-წლამდელთა ნაკრებების ყოფილი მწვრთნელი ვახტანგ კოპალეიშვილი ამჟამად „ნორჩ დინამოელში" მუშაობს. თუკი ვინმე ქართულ ფეხბურთში, განსაკუთრებით, ბავშვთა ფეხბურთში, ჩახედულია, მათ შორის კოპალეიშვილიცაა.

რა ხდება კარგი, რა ცუდი, რა პრობლემებია — ამ თემებზე სალაპარაკო ცოტა არ გვქონია და თბილისის „დინამოს" ყოფილი შემტევიც გულღიად გვესაუბრა. თავიდან კი ეროვნული ნაკრების მარცხიანი სერიით დავიწყეთ...

— ლიტვაში ჩვენი ნაკრების მონდომება და ჟინი არ ჩანდა. ეს ალბათ ფეხბურთელების გადაღლილობის ბრალია, სეზონის ბოლოა და ძალები არ ეყოთ სანაკრებო თამაშებისთვის. საერთოდ, საქართველო ლიტვაში არ უნდა აგებდეს...

...სიმართლე გითხრათ, საფრანგეთის ნაკრებიც არ მომეწონა. კლაუს ტოპმიოლერის კომპეტენციაში არ ვიჭრები, მაგრამ ერთი თავდამსხმელით საფრანგეთთან თამაში გაუმართლებელი მგონია. ტოპმიოლერის მოსვლის შემდეგ გაჩნდა სათამაშო დისციპლინა, მაგრამ ამ მწვრთნელისგან აშკარად მეტს ველოდით და მარტო ფარერების დამარცხება ვერაფერი შედეგია. ჩემი აზრით, მომავალ ციკლში მწვრთნელი ისევ ტოპმიოლერი იქნება და იმ დროისთვის მან უნდა შეძლოს გამოცდილი და ახალგაზრდა ფეხბურთელების შერწყმა — სხვანაირად შედეგს ვერ მიიღებს. ტოპმიოლერი მაქსიმალურად უნდა ეცადოს, ნაკრებში ის ფეხბურთელები არ გამოიძახოს, რომელთაც სათამაშო პრაქტიკა არ აქვთ. ხომ ვხედავთ, მოუმზადებელი ფეხბურთელების მიწვევამ რა შედეგიც მოიტანა. მჯერა, მომავალ ციკლში ნაკრები უკეთესად ითამაშებს...

...სამაგიეროდ, ძალიან მომეწონა ჩვენი ახალგაზრდული ნაკრები. ესპანეთის ნაკრები მსოფლიოში ერთ-ერთი საუკეთესოა. მწვრთნელმა პეტარ სეგრტმა გუნდს ერთსულოვნება შესძინა — ბიჭები გაცილებით მონდომებულები ჩანდნენ, ვიდრე ეროვნული ნაკრები. პატარებს გუნდური პრინციპი ეტყობათ. სერგტს ქართველები გვერდით უნდა დავუდგეთ და საქმეც გაკეთდება. 1986 წელს დაბადებულების თაობა ჩემს ხელშია გამოვლილი — ლორია, ნავალოვსკი, ფოფხაძე, ღვინიანიძე, კანკავა, დვალიშვილი, ჭელიძე, ხუბუტია და კიდევ ბევრი სხვა... ამ ბიჭებს კარგი ფეხბურთის თამაში შეუძლიათ...

...საქართველოს ჩემპიონატის დონე ასამაღლებელია, მწვრთნელების კვალიფიკაციას უნდა მიექცეს ყურადღება, მინდვრები საშინელ მდგომარეობაშია — ფეხბურთელს ბურთის გასაჩერებლად რამდენიმე შეხება სჭირდება, სხვაგან კი სულ ორი შეხებით თამაშობენ. არასათანადოა ფეხბურთელთა ფიზიკური მომზადებაც. ნორმალური დონის ფეხბურთელი თამაშში საშუალოდ 10-12 კილომეტრს უნდა დარბოდეს, აქ კი 5 კილომეტრი თუ გაირბინა, კარგ შედეგად ითვლება. რაც იყო ჩვენი სტილი, დავკარგეთ — სწრაფი აზროვნება, ტექნიკური და ლამაზი თამაში აღარ ჩანს, ფიზიკურად კი სულ გვიჭირს. ესაა უკუსვლის მთავარი მიზეზები. ცხონებული ნოდარ ახალკაცი, რუსებს რომ ვეთამაშებოდით, გვეუბნებოდა, ოღონდ სირბილში არ გაჯობონ, თორემ დანარჩენი კარგად იცითო. ქართველები ნიჭიერები ვართ, მაგრამ ხანდახან სიზარმაცე გვძლევს, არადა, თუ გინდა, რამე სერიოზულს მიაღწიო, ბევრი უნდა იშრომო...

...საქართველოში ბავშვთა ფეხბურთი უმუშევარი ხალხის თავშესაფარია. მესმის, კაცს უჭირს და სარჩო არ აქვს, მაგრამ მწვრთნელობის დაწყებით ბავშვებს რომ ღუპავს? მიკვირს მშობლებისაც — შვილი რომ ფეხბურთზე მიჰყავს, არ უნდა იკითხო, მწვრთნელი პროფესიონალია თუ ქუჩიდანაა მოსული? სხვა ქვეყნებში სკაუტები და მწვრთნელები ეძებენ ბავშვებს, თავიანთ სკოლებში მიჰყავთ და თან ჰყვებიან, არაფერს აკლებენ. აქ პირიქითაა — მშობელი დასდევს მწვრთნელს, პატივს სცემს, ჩემი შვილი ათამაშეო. ბავშვს თუ ნიჭი არ აქვს, რატომ უნდა დატანჯო?! არ ჯობია, რისი ნიჭიც აქვს, ის აკეთოს?!

...კარგია, ფეხბურთის ფედერაცია მწვრთნელებს A, B და C ლიცენზიების აღებას რომ სთხოვს. ამ ლიცენზირების გავლის შემდეგ ბევრი სიახლე გავიგე. თუ მწვრთნელი ხარ, ყოველდღე უნდა იზრუნო ახლის შესასწავლად. მწვრთნელი უნდა იყოს ორგანიზატორი, ტაქტიკურად განსწავლული, არ უნდა ემლებოდეს მედიასთან ურთიერთობა. როგორც იბადება ნიჭიერი ფეხბურელი, ისევე იბადება მწვრთნელიც...

**ნუგზარ ლოლაძე**

# ტრეზეგე-ანრი: ძმა ძმისთვისაო, ადგილზე დაბმისთვისაო



**არსენ ვენგერი** იმედოვნებს, რომ დავიდ ტრეზეგეს გადაბირებით ტიერი ანრის „არსენალში“ „დააბამს“ — მოგეხსენებათ, ტრეზეგე „იუვენტუსში“ აღარ რჩება და არ არის გამორიცხული, ლონდონელებმა იგი მხოლოდ და მხოლოდ 5 მილიონ გირვანქად შეიძინონ.

ინგლისური პუბლიკისთვის ტრეზეგეს ვინაობის კარგად განსამარტად, ლონდონის „არსენალის“ ბოსი ამბობს, რომ ამ თავდამსხმელმა იტალიაში შვიდი სეზონი გაატარა და სეზონი ისე არ გაუშვა, საშუალოდ 20 გოლი რომ არ გაეტანა.

აღსანიშნავია, რომ ვენგერი ტრეზეგეს ოდინდელი თაყვანისმცემელი, უფრო სწორად კი, მასწავლებელია — დავიდი ოდესღაც „მონაკოში“ სწორედ მისი ხელმძღვანელობით იწყებდა თამაშს. იმხანად, მისი ხელმძღვანელობით პირველ ნაბიჯებს დგამდა ანრიც. ერთი სიტყვით, ეს ორი ფეხბურთელი სიყმაწვილიდან მოყოლებული „გადაბმული“ მეგობრები არიან და ვენგერიც, როგორც ზემოთ მოგახსენეთ, სწორედ ამ არგუმენტით აპირებს მოქმედებას.

ახლა „იუვენტუსიდან“ წამოსული ფრანგის სხვა მონაცემებზეც ვთქვათ: ის 29 წლისაა, ანუ იმაზე ასაკოვანი, ვიდრე ვენგერი ჩვეულებრივ ყიდულობს ხოლმე. ხელფასი, რომელსაც ის ითხოვს, კვირაში 90 ათასი გირვანქაა, მაგრამ ოღონდ კი ნირწამხდარი ანრი დააკავოს და, მწვრთნელი ყველაფრისთვის მზადაა.

**ბაჩუნა ძედია**

# ან ჰო მითხარ, ან არა!
## ალან სმიტი მანჩესტერს ეყრება

**ალან სმიტს** ალექს ფერგიუსონთან კონკრეტული კითხვა აქვს: მიშვებ, სერ, თუ მტოვებ?

საქმე კი ის გახლავთ, რომ ინგლისის ნაკრების თავდამსხმელს „მანჩესტერ იუნაიტედმა“ რამდენიმე დღის წინ გასაგებად უთხრა, შენთან კონტრაქტის გაგრძელებას აღარ ვაპირებო.

სამართლის საძებნად სმიტმა „სანს“ მიაკითხა: „თუ მყიდიან, მითხრან, თუმცა, ყველაფერს მირჩევნია, ჯერ პირადად მწვრთნელს ველაპარაკო. თუ ამ გუნდისთვის საჭირო აღარ ვარ, მაშინ დროულად დავიწყებ ჩემს ვარიანტებზე ფიქრსა და ზრუნვას“.



იურიდიულად, სმიტს მანჩესტერელებთან კიდევ ორი წელიწადი აკავშირებს, ზეპირად კი, კლუბი ამ ზაფხულზე ხელშეკრულების კიდევ ერთი წლით გახანგრძლივებას იყო დაპირებული, მაგრამ პირი უშალა.

საინტერესოა ისიც, რომ ამ პირის შლის შესახებ ფეხბურთელმა ფერგიუსონისგან კი არ შეიტყო, არამედ აღმასრულებელი შეფისგან, დევიდ გილისგან.

სმიტმა, რომელიც „მანჩესტერში“ სამი წლის წინ 7 მილიონ გირვანქად „ლიდს იუნაიტედიდან“ გადავიდა, „სანთან“ საუბარში დასძინა: „პირადად მწვრთნელმა უნდა გამაგებინოს, რა ხდება. თუ ის მეტყვის, რომ ვჭირდები, მზად ვარ, თავგამოდებით ვემსახურო, თუ არა და, დროულად უნდა შემატყობინოს ამის შესახებ. სეზონის ბოლოს ფერგიუსონს ჩვენთვის არაფერი უთქვამს. ფეხბურთის ასოციაციის ფინალი რომ ვითამაშეთ, სახლებში წავედით. ეს იყო და ეს“.

აღსანიშნავია, რომ სმიტმა სეზონი კარგ გუნებაზე დაამთავრა, რადგან მანამდე, წელიწადზე მეტი ხნის განმავლობაში, კოჭისა და ფეხის ძვლის მოტეხილობას მკურნალობდა. მოედანზე დაბრუნებულმა „მანჩესტერ იუნაიტედის“ გაჩემპიონებაში მიიღო მონაწილეობა და ინგლისის ნაკრებშიც დაიბრუნა ადგილი. ასე რომ, მომავალი სეზონის სათადარიგოთა სკამზე გატარება აღარ სურს.

„მინდა პირველივე წუთიდან მოედანზე ვიყო“.

ასეთ „მომსახურებას“ კი მას, ალბათ, „ევერტონი“, „მიდლსბრო“, „ტოტენჰემ ჰოთსპური“, „ასტონ ვილა“ და „გლაზგო რეინჯერსი“ სთავაზობენ.

**ბაჩუნა ძედია**

# ტევესი კარიცოს იცნობს



**„ვესტ ჰემი“** დაინტერესდა „რივერ პლეიტის“ მეკარე ხუან პაბლო კარიცოთი — წერს „მირორი“.

ლონდონური კლუბის მწვრთნელ ალან კერბიშლის კარიცო კარლოს ტევესმა უქო და ყიდვა ურჩია.

არგენტინელი მეკარის შეძენა იტალიურ „ლაციოს“ და „მილანსაც“ უნდათ, მისი ფასი 6 მილიონი გირვანქაა.

**ვაჟა ხუციშვილი**

# ინგლისური გინება სინგაპურში

**სინგაპურის** „გეილენგ იუნაიტედის“ ინგლისელი ფეხბურთელი კიმ გრანტი გუნდიდან გინების გამო გააგდეს.

„გრანტი კლუბის ოფისში თანაგუნდელებისა და პერსონალის თანდასწრებით იგინებოდა — თქვა გენერალურმა მენეჯერმა ონგ სოფ ფიმ — ეს ძალიან ვულგარულია და ვერ შევეგუებოდით“.

ინგლისელი კი ფიფასა და სინგაპურის ფეხბურთის ფედერაციაში ჩივილს აპირებს.

„პირადად არავინ გამილანძღავს. თავი დავხარე და ერთი შევიგინე, ისე, როგორც ინგლისში იციან, მერე ბოდიშიც მოვიხადე, მაგრამ ამაოდ“ — მოიბოდიშა გრანტმა.

# ღამურა არისმენდი

**„ვალენსია“** „დეპორტივოდან“ ხავიერ არისმენდის ყიდულობს და ხუთწლიან კონტრაქტს სთავაზობს. 22 წლის ფორვარდი „ღამურებს“ ექვსი მილიონი ევრო დაუჯდებათ. ამ ფულიდან წილი „ატლეტიკოსაც“ ერგება, რადგან ფეხბურთელი ნაწილობრივ მადრიდულ კლუბსაც ეკუთვნის.

ვალენსიელებისთვის არისმენდი მესამე შენაძენი იქნება ალექსის („ხეტაფე“) და ტიმო ჰილდებრანდის („შტუტგარტი“) შემდეგ.

# ვა, ბა!

**„ლა სტამპას“** ცნობით, „მილანმა“ თავის ყოფილ ფეხბურთელს იბრაჰიმ ბას ერთწლიანი კონტრაქტი შესთავაზა.

რამდენიმე თვის განმავლობაში 34 წლის ნახევარმცველი მილანელოს ბაზაზე ვარჯიშობდა და მწვრთნელი მისი გარჯით კმაყოფილია.

ის ბოლოს საუდეთის „ალ ჰილალში“ იყო, მანამდე კი შვედურ „იურგორდენსა“ და სერია C-ს „ვარეზეში“

# კორვინომ ბორდო დააჭაშნიკა

**„ფიორენტინას“** „ბორდოდან“ ფერნანდო კავენაგის შეძენა სურს. არგენტინელი ფორვარდი ორი წლის წინ მოსკოვის „სპარტაკისგან“ იყიდეს და ოთხწლიანი კონტრაქტი გაუფორმეს.

„ლა ნაციონეს“ ცნობით, „ფიორენტინას“ სპორტული დირექტორი პანტალეო კორვინო ბორდოში იყო და იქაურებს კავენაგის ტრანსფერზე ესაუბრა.

# კრასიჩის კუნთი

**მოსკოვის** ცსკა-ს სერბი ლეგიონერი მილოშ კრასიჩი სანაკრებო მატჩში დაშავდა.

სერბეთისა და იტალიის ახალგაზრდული ნაკრებების ევროშესარჩევი შეხვედრის 32 წუთზე კრასიჩს კუნთი დაეჭიმა და შესაცვლელი გახდა.

# საა დეკემბრამდე ისვენებს

**„მანჩესტერისა“** და საფრანგეთის ნაკრების ფორვარდმა ლუი საამ მუხლზე ოპერაცია გაიკეთა.

ფეხბურთელის აგენტის, რანკო სტოიჩის თქმით, საა დეკემბრამდე მოედანს ვერ დაუბრუნდება.

შეგახსენებთ, რომ ფრანგმა გასული სეზონის უმეტესი ნაწილი მუხლის ტკივილის გამო გამოტოვა.

# კროსასი ლივერპულისთვის

**„დეილი მირორის“** ცნობით, „ლივერპულს“ „ბარსელონას“ 19 წლის ფეხბურთელის, მარკ კროსასის ყიდვა უნდა.

თუ ინგლისელები ბიჭის შეძენას ვერ შეძლებენ, ქირაობას შეეცდებიან, შემდგომში გამოსყიდვის უფლებით.

# მელხიოტი უკან დაბრუნდა

**„ჩელსისა“** და ჰოლანდიის ნაკრების ყოფილმა მცველმა მარიო მელხიოტმა „რენთან“ კონტრაქტის გახანგრძლივება იურა და „უიგანში“ გადავიდა. ამის შესახებ „რენის“ მწვრთნელმა პიერ დრესიმ განაცხადა.

მელხიოტი საფრანგეთში შარშან „ბირმინგემიდან“ გადაბარგდა.

# ორნი ლიონში

**„ლილის“** პრეზიდენტმა მიშელ სეიდუმ განაცხადა, რომ მისი კლუბის ორი ფეხბურთელი — ნახევარმცველი მეთიუ ბოდმერი და ფორვარდი კადერ კეიტა — ლიონში“ გადავიდნენ.

დღეს ისინი სამედიცინო შემოწმებას გაივლიან და კონტრაქტსაც გააფორმებენ საფრანგეთის ექვსგზის ჩემპიონთან.

# ტრაპატონიმ მათეუსი დაამარცხა

**ლოთარ მათეუსი** „ზალცბურგის“ მწვრთნელობიდან გაათავისუფლეს — წერს „ფუსბალი“.

მან და მობერებულმა ჯოვანი ტრაპატონიმ შარშან ჩაიბარეს გუნდი და ერთად მიიყვანეს ავსტრიის ჩემპიონობამდე, მაგრამ გაირკვა, რომ იტალიელი და გერმანელი რაღაცაზე ვერ მორიგდნენ და მათეუსი გაუშვეს.

ლოთარ მათეუსს „ზალცბურგის“ გარდა ვენის „რაპიდში“, ბელგრადის „პარტიზანში“, „ატლეტიკო პარანენსეში“ და უნგრეთის ნაკრებში უმუშავია.

**ვაჟა ხუციშვილი**

ეროვნული ბიბლიოთეკა



# არსად მივდივარ! სამუელ ეტოო თამაშით კი არა, ლაპარაკით დაიღალა



ფრანგულ და ესპანურ მედიაში ტიერი ანრის „ბარსელონაში“ შესაძლო გადაბარგებაზე ბევრს ლაპარაკობენ. კატალონიური გუნდი „რეალთან“ და „სევილიასთან“ ერთად ლა ლიგის გააფთრებულ საჩემპიონო მარათონშია ჩაბმული, თუმცა „ბარსას“ ეს სამომავლო ტრანსფერებზე ზრუნვაში ხელს ვერ უშლის. სამუელ ეტოოს შეძენით კი „მილანი“ დაინტერესდა. კამერუნელმა „ასთან“ ინტერვიუში ანრიზე, „მილანის“ შემოთავაზებასა და პრიმერას საჩემპიონო პერიპეტიებზე ილაპარაკა...

— რონალდინიოს, ეტოოს, მესისა და ტიერი ანრისგან შემდგარ მოიერიშეთა ხაზზე რას ფიქრობთ?

— ჩემი სურვილია, მსოფლიოში საუკეთესო თავდასხმა გვყავდეს, მაგრამ არ უნდა დავივიწყოთ დაცვაც — ფეხბურთი მარტო შეტევა არ არის. გუნდში ყველა ერთმანეთს უნდა დავეხმაროთ, თუმცა... შემადგენლობის დაგეგმვა და სატრანსფერო საქმეები სამუელ ეტოოს არ ევალება, ეს სხვათა პრეროგატივაა. დარწმუნებული ვარ, კლუბის სპორტული დირექტორი ჩიკი ბეგირისტაინი და მწვრთნელი ფრანკ რაიკარდი „კამპ ნოუზე“ საუკეთესო ფეხბურთელებს მოიყვანენ, ტიერი ანრი კი მსოფლიოს ერთ-ერთი საუკეთესო ფორვარდია. ბეგირისტაინმა და რაიკარდმა თავიანთი საქმე მშვენივრად იციან.

— იტალიურ პრესაში ისევ იწერება, რომ „მილანს“ თქვენი შეძენა სურს. შეგიძლიათ, დარწმუნებით გვითხრათ, რომ მომავალ სეზონში კვლავ „ბარსელონაში“ ითამაშებთ?

— ამ თემაზე საუბარმა უკვე ძალიან დამღალა. თუმცა რახან მეკითხებით, უკვე მრავალჯერ ნათქვამს გაგიმეორებთ — „ბარსასთან“ კონტრაქტი მაკავშირებს და ჩემს საქმეებსაც მხოლოდ მე განვაგებ. კლუბი სხვაგან ვერ გამგზავნის, რადგანაც საკონტრაქტო ვადა ჯერ არ ამოწურულა და, საერთოდაც, როგორც ჩემი, ისე „ბარსელონას“ მხრიდან არის სურვილი, თანამშრომლობა გავაგრძელოთ. ამიტომაც, მოდით, ამის შესახებ ნულარ ვილაპარაკებთ. სამუელ ეტოო რჩება და გაისად არსად წასვლას არ აპირებს. მიკვირს, როცა ხან ერთი გაზეთი დააქუხებს და ხან მეორე: „ეტოო „ბარსელონას“ გაებუტა და რაიკარდის გუნდიდან წასვლას გეგმავს“...

— წლეულს თქვენი კლუბი პრიმერას მოგების უპირველეს ფავორიტად ითვლებოდა, თუმცა ამჟამად „რეალის“ შედეგზე ხართ დამოკიდებულნი. რა შეცდომა დაუშვა „ბარსელონამ“?

— უკვე ის იყო შეცდომა, ჩემპიონატის დაწყებამდე რომ ვიფიქრეთ, ოქროს მედლები აუცილებლად ჩვენ დაგვრჩებაო. მართალია, ლა ლიგა ზედიზედ ორჯერ მოვიგეთ, მაგრამ პრიმერას დაწყებამდე თავი ჩემპიონად არავინ არ უნდა ჩათვალოს. მე ოპტიმისტი ვარ და ველოდები, რომ საამსეზონო ლა ლიგას მაინც „ბარსელონა“ მოიგებს, თუმცა ჯილდო ჩვენთვის წინასწარ არავის მოუკუთვნებია.

— „რეალი“ ბოლო ტურში „სანტიაგო ბერნაბეუზე“ თქვენს ყოფილ გუნდს, „მალიორკას“ მასპინძლობს. ექსთანაგუნდელებს უკვე სთხოვეთ, რომ მადრიდელთა წინააღმდეგ განსაკუთრებული მონდომებით ითამაშონ?

— „მალიორკაში“ აღარ ვთამაშობ, თუმცა როდესმე იქ დაბრუნებასაც არ გამოვრიცხავ. „რეალის“ მეტოქეს რა უნდა ვთხოვო? არაფრის თხოვნას და ხვეწნა-მუდარას არ ვაპირებ — „ბარსამ“ „ხიმნასტიკთან“ მატჩზე უნდა იფიქროს, სხვა არაფრის გაკეთება არ შეგვიძლია.

— კუნძულელთა გუნდი მადრიდიდან თუნდაც ქულის წამოღების შემთხვევაში ჯილდოდ 600 ათას ევროს მიიღებს. ლეო მესიმ განაცხადა, რომ ფეხბურთელთა ფინანსურად წახალისების წინააღმდეგი არ არის. თქვენ რას ფიქრობთ პრემიების თაობაზე?

— გადაჭრით ვერ გეტყვით, პრემიების მომხრე ვარ თუ არა, თუმცა რახან ლა ლიგაში თამაშისთვის ფულს გვიხდიან, დამატებითმა თანხებმა რა დააშავეს? ეს კლუბების მმართველთა საქმეა, მე კი ფეხბურთელი ვარ და, როცა მოედანზე გავდივარ, პირველ რიგში, ბურთზე ვფიქრობ...

— წინა ტურში „სარაგოსასთან“ მატჩის შემდეგ „რეალის“ გახარებულმა პრეზიდენტმა რამონ კალდერონმა „ლა რომარედას“ სტადიონზე საჩემპიონო წრე დაარტყა. სამეფო თეთრების თავკაცის ნაადრევმა ფიესტამ არ გაგაბრაზათ?

— ყველა იმას აკეთებს, რასაც საჭიროდ ჩათვლის. მადრიდის „რეალზე“ საუბარი კი არ მსურს.

— ხავიერ სავიოლა მომავალ სეზონში შეიძლება სათამაშოდ სწორედ „ბერნაბეუზე“ გადავიდეს...

— სადაც უნდა გადავიდეს ხავიერი, მას მაინც პატივს ვცემ. სავიოლას რთული სეზონი ჰქონდა, მაგრამ ჩივილი არ დაუწყია. ახლა თავის თავზე და კარიერაზე უნდა იფიქროს...

## თუნჯაი ბოროელია

„მიდლსბრომ“ მარკ ვიდუკას შემცვლელი ნახა — თუნჯაი შანლი. „გარდიანის“ ცნობით, ინგლისური კლუბი თურქეთის ნაკრების და „ფენერბაჰჩეს“ ფეხბურთელს ჯამაგირზე მოურიგდა.

ფორვარდს „ფენერთან“ კონტრაქტი დაუსრულდა და ბოროელებს მის სანაცვლოდ ფულის გადახდა არ მოუწევთ. 2004 წელს თუნჯაიმ ჩემპიონთა ლიგის მატჩში „მანჩესტერთან“ ჰეთ თრიქი შეასრულა.

## ალარდაისმა სოლანო დატოვა

32 წლის პერუელმა ნახევარმცველმა ნოლბერტო სოლანომ „ნიუკასლთან“ კონტრაქტი ერთი წლით გაახანგრძლივა. მისი დატოვება ახალმა მწვრთნელმა სემ ალარდაისმა ისურვა, რომელმაც მაისში გლენ როედერი შეცვალა და არაერთი ფეხბურთელი გაუშვა გუნდიდან.

## ნალეტილიჩმა არ იცოდა

დარიო შიმიჩის აგენტმა მარკო ნალეტილიჩმა განაცხადა, რომ ფეხბურთელი „მილანში“ რჩება. შიმიჩს „მარსელი“ და „ევერტონი“ ეპატიჟებოდნენ და თვითონაც სურდა გუნდის გამოცვლა, რადგან კარლო ანჩელოტის ხელში მეტწილად სათადარიგოებში ზის. „მილანის“ ვიცე-პრეზიდენტმა ადრიანო გალიანიმ ხორვატი ლეგიონერი არ გაუშვა, გუნდს სჭირდებიო.

„მარსელელებსაც ვესაუბრე და „ევერტონიდანაც“ კარგი პირობები შემოგვთავაზეს. მაგრამ იმ მომენტისთვის არ ვიცოდით, რომ დარიოს „მილანი“ დათმობდა“ — თქვა ნალეტილიჩმა.

## შალანდე ციურიხში

შვეიცარიის ჩემპიონ „ციურიხის“ მწვრთნელად ბერნარ შალანდე დანიშნეს, რომელიც ადრე 21-წლამდელთა ნაკრებს თავკაცობდა. მის ხელში ნაკრებმა 2002 წელს ევროპის ჩემპიონატის ნახევარფინალს უწია. შალანდეს „იანგ ბოიზში“, „ივერდონში“ და სერვეტშიც“ უმუშავია. მან ლუსიენ ფავრი შეცვალა, ვინც ბერლინის „ჰერტას“ მწვრთნელი გახდა.

## სამწლიანი კუპე

„ლიონის“ და საფრანგეთის ნაკრების მეკარე გრეგორი კუპემ კლუბთან კონტრაქტი სამი წლით გაახანგრძლივა. 34 წლის გოლკიპერი მომავალ სეზონის ბოლოს კარიერის დასრულებას აპირებდა, მაგრამ გადაიფიქრა. კუპე 11 წლის წინ გადავიდა „ლიონში“ „სენტ ეტიენიდან“ და 351 მატჩი ითამაშა.

ვაჟა ხუციშვილი

# დოპინგიანი ბიჭები ზემო და ქვემო ბუნდესლიგიდან



გერმანელმა მწვრთნელმა პეტერ ნოირურერმა „შპორტ ბილდთან“ ინტერვიუში თქვა, რომ 90-. იან წლებში ფეხბურთელები აკრძალულ პრეპარატებს იღებდნენ, რაც მას საკუთარი თვალით არაერთხელ უნახავს. 1989-1990 წლების სეზონში ნოირურერი (შარშან აგვისტოში „ჰანოვერიდან“ გაათავისუფლეს) მეორე ბუნდესლიგაში „შალკეს“ წვრთნიდა და რამდენჯერმე ნახა, რომ მოთამაშეები აკრძალულ კაპტაგონს ყლაპავდნენ.

„ეს აშკარად კეთდებოდა და ფეხბურთელთა 50 პროცენტი მომხმარებელი იყო არა მარტო მეორე ბუნდესლიგაში — განაცხადა ნოირურერმა, მაგრამ გვარსახელების გამხელისგან თავი შეიკავა — ძნელი არ არის დოპინგმილებული მოთამაშის ამოცნობა. მათი გამოხედვა განსხვავებულია, ფაქტობრივად, არ იღლებიან და რეაქცია გაუმჯობესებული აქვთ“.

ვაჟა ხუციშვილი

# სოფი ლორენმა ნაპოლი გაასულელა



„ნაპოლის“ ფეხბურთელებმა სერია A-ს საგზური მოიპოვეს, მაგრამ მაინც უკმაყოფილონი არიან — მათ ვერ მიიღეს შეპირებული სტრიპტიზი სოფი ლორენისგან, რომელიც გუნდს სერია A-ში გადასვლის შემთხვევაში გაშიშვლებას შეჰპირდა.

73 წლის ლორენმა სიტყვა არ შეასრულა, არადა, მაგალითად, შარშან, ეროტიკული კალენდრისთვის გადაუღეს სურათები და მაშინ გაიხადა.

„ჩემი ნათქვამი მხოლოდ ხუმრობა იყო და გაშიშვლებას არ ვაპირებ“ — თქვა ლორენმა.

ვაჟა ხუციშვილი

# რაულ ტამუდოს სადილზე დავპატიჟებ

## კაპელომ აღიარა: ბექემი ჩემი შეცდომა იყო

**ოთხწლიანი პაუზის შემდეგ მადრიდის „რეალი" პირველ ტიტულს მიუახლოვდა. „სამეფო გუნდს" მხოლოდ „მალიორკასთან" მოგება სჭირდება ჩემპიონობისთვის. ბოლო დროს მშვენივრად ათამაშებული „რეალის" ფეხბურთელების გარდა, გუნდის გამოღვიძებასა და სწორ გზაზე დაბრუნებაში მნიშვნელოვანი წვლილი, ცხადია, ფაბიო კაპელოს მიუძღვის. არადა, მას თავიდან უამრავი კრიტიკოსი ჰყავდა...**



**— როგორ გეძინათ „სარაგოსასთან" მატჩის შემდეგ?**

— ცუდად. შინ რომ მივედი, ჩამოვჯექი და ჭიქა წყალი დავლიე მოსადუნებლად. იმ ღამეს ძალიან ცოტა მეძინა.

**— ასეთი რამ ადრე თუ მომხდარა თქვენს კარიერაში, ანუ თქვენს გუნდს რომ ბოლოსწინა წუთზე გაეტანოს გოლი, ხოლო უშუალო კონკურენტს ბოლო წუთზე გაეშვას და ამას სატურნირო ცხრილში ვითარება შეეცვალოს?**

— არასდროს. რაღაც ისეთი მოხდა, არაჩვეულებრივი. ამგვარი რამეები ძალიან იშვიათია.

**— როგორ აღწერთ იმ ყველაფერს, რაც ამ მატჩებში მოხდა?**

— „ბარსელონა" — „ესპანიოლზე" ვერაფერს გეტყვით, რადგან ეს მატჩი არ მინახავს. ჩვენ კი პირველ ტაიმში ცოტა ვნერვიულობდით და არც ჩვეულებისამებრ შეკრული გუნდი გვყავდა, რადგან ბევრი ფეხბურთელი სანაკრებო შეკრებიდან ახლახან დაბრუნდა. პირველ ნახევარში ვან ნისტელროის ბრწყინვალე თავურით შევძელით გატანა, მეორეში კი მეტოქის მეკარემ ყველაფერი მოიგერია, თორემ მოგებაც შეგვეძლო. მთავარია, ბოლომდე ვიბრძვით და არასდროს ვნებდებით.

**— მატჩის შემდეგ, პრესკონფერენციაზე ძალიან ბედნიერი იყავით...**

— დიახ, ბედნიერი ვიყავი გუნდის, ფანებისა და ყველა იმ ადამიანის გამო, ვინც ჩემთან ერთად მუშაობს. ჩვენ თავდაუზოგავად ვშრომობთ და, რაც უფრო ახლოს ვართ მიზანთან, მით უფრო ძნელდება ბრძოლა. ჩვენ შეკრული გუნდი გვყავს, ფანებისა და ყველა გარშემომყოფის ჩათვლით და წარმატება გვწყურია.

**— რატომ დაიწყეთ „სარაგოსასთან" მატჩი ნახევარდაცვის ცენტრში ემერსონ-დიარას წყვილით? გუტი უფრო საჭირო არ იყო, რომელსაც თავდასხმის გაძლიერებაც შეუძლია?**

— ემერსონმა და დიარამ კარგად ითამაშეს. უბრალოდ, მეორე ტაიმში გუტის დარი, უფრო შემტევი ნახევარმცველი გვჭირდებოდა, ეს არის და ეს.

**— ანუ თქვენ ელოდით „სარაგოსას" ზეწოლას და თავიდანვე თავდაცვისთვის შეემზადეთ?**

— ასე არ არის. ნაკრებიდან დაბრუნებული გაგო გადაღლილი იყო და ამიტომ ვათამაშე დიარა-ემერსონის წყვილი. თან გუტის ნებისმიერ დროს შეუძლია თამაშში კარგად ჩართვა და იგი უფრო მეორე ტაიმში გახდა საჭირო, მთავარი და ყველაზე სასიამოვნო კი ის არის, რომ სათადარიგოთა სკამზე დასმული ემერსონი და რაული დიდი ენთუზიაზმით ქომაგობდნენ თანაგუნდელებს. ეს ადასტურებს, რომ ჩვენ შეკრული, შემართული გუნდი ვართ.

**— მაგრამ, როცა გუტი და იგუაინი თამაშობენ, გუნდი გაცილებით შემტევია...**

— დიახ, ასეა. თუმცა მწვრთნელმა კონკრეტული მომენტისთვის შესაბამისი საუკეთესო გადაწყვეტილება უნდა მიიღოს. ხან ისე ჯობია, ხან ასე, ეს ჩვეულებრივი ამბავია.

**— რაულმა და რობინიომ კარგად ვერ ითამაშეს...**

— რობინიომ კარში სამჯერ დაარტყა, აქედან ერთი სესარმა აილო. რაულსაც ჰქონდა გოლის გატანის შანსი. თუმცა ფეხბურთი ხშირად არაფერს ჰგავს იმ მხრივ, რომ შენს კარგ თამაშს მეტოქის შეცდომაც უნდა დაერთოს თან.

**— რატომ ათამაშებთ რაულს ფლანგზე?**

— სეზონის ბოლოსკენ ყველა ფეხბურთელი გადაიღალა და ფიზიკურად იდეალურ ფორმაში არ არის. ფლანგზე თამაში კი დიდ ენერგიას მოითხოვს, მაგრამ რაულს იქ იმიტომ ვათამაშებ, რომ მომწონს, კარგად გამოსდის. იგი ტაქტიკურად ძალიან ჭკვიანია, პოზიციის შერჩევა და გახსნა კარგად იცის.

**— ამ თვისებების მქონეს შემტევ შუა ნახევარმცველად ან მეორე ფორვარდად რატომ არ ათამაშებთ?**

— როგორ არა, იგი ან იგუაინი თამაშობენ ხოლმე ამ პოზიციებზე. გონსალო ცოტა სხვა სტილისაა. ორივენი ბრწყინვალედ ასრულებენ სამუშაოს.

**— რაშია ამჟამინდელი „რეალის" კარგი თამაშის საიდუმლო?**

— ჩვენ ახლა უფრო მეტს ვვარჯიშობთ, ვიდრე ადრე. ეს ძალიან მნიშვნელოვანია. ასევე გვყავს ახალი ფეხბურთელები. გუნდში გაიღვიძა ძველებურმა მებრძოლმა სულმა და, ვფიქრობ, იდეალური სათამაშო სქემა ვიპოვე. ზოგს ჰგონია, რომ კლუბში ახალი მოთამაშის მოსვლით ან ვარსკვლავის ყოლით ყველა პრობლემა გადაიჭრება, მაგრამ წარმატებისთვის ყოველმხრივ დიდი შრომაა საჭირო.

**— დღევანდელი „რეალი" ფიზიკურად ძალიან ძლიერია...**

— ასეა. მატჩის ბოლო წუთებს ძალიან კარგად ვატარებთ.

**— ბევრი ამბობს, რომ „რეალი" ახლა პირველ ადგილზე თქვენი ხასიათის წყალობითაა...**

— ძალიან სასიამოვნოა ამის მოსმენა... ისე კი, წარმატება და იღბალი თავდაუზოგავი შრომის გარეშე არ მოდის.

**— ბოლო პერიოდში „რეალს" რამდენჯერმე მართლაც ძალიან გაუმართლა...**

— ეს იმიტომ ხდება, რომ ბოლომდე ვიბრძვით და დარწმუნებულნი ვართ, რომ ყველაფრის ჩვენს სასარგებლოდ შემობრუნებას შევძლებთ.

**— თქვენი აზრით, „სარაგოსას" შესთავაზეს წამახალისებელი თანხა, რათა „რეალისთვის" მოეგო?**

— არავინ არ უნდა გადაუხადოს სხვა კლუბს ფული მოგების ან წაგებისთვის. ყველამ მითხრა, რომ ეს არალეგალურია.

**— ჩემპიონატს უკვე მოგებულად თვლით?**

— არავითარ შემთხვევაში. ბოლო მატჩი ყველაზე საშიშია და მას დიდი ყურადღება უნდა მივაქციოთ. კონცენტრაციის დაკარგვა გამორიცხულია, ძალიან ფრთხილად უნდა ვიყოთ. ზეიმზე ფიქრი ჯერ ადრეა, მით უმეტეს, რომ „მალიორკა" კარგი გუნდია და მისი დამარცხება ადვილი არ იქნება.

**— „სარაგოსასთან" მატჩის შემდეგ, პრეზიდენტმა რამონ კალდერონმა ფანებთან ერთად, ფაქტობრივად, იზეიმა ჩემპიონობა. დაინახეთ ეს?**

— მე გასახდელში ვიყავი.

**— ამ ამბავმა მალიორკელები გაალიზიანა...**

— ტიტული მოგებული არ არის, სანამ თასი ხელში არ გეჭირება.

**— მაშინ სიბელესზე აღარაფერს გეტყვით...**

— სიბელესზე და იქ ზეიმზე არაფრის გაგონება არ მინდა, სანამ ჩემპიონები ოფიციალურად არ გავხდებით.

**— როგორც ვიცი, კალდერონმა ფრე მოგილოცათ...**

— დიახ. ყველაფრის გათვალისწინებით, ჩვენ კმაყოფილნი ვიყავით „სარაგოსასთან" ფრით.

**— ახლა როგორი ურთიერთობა გაქვთ პრეზიდენტთან?**

— ნორმალური. რაც მთავარია, ერთმანეთს პატივს ვცემთ.

**— ამბობენ, კალდერონი სიტყვიერად უკვე შეუთანხმდა ბერნდ შუსტერს და „რეალის" მომავალი მწვრთნელი ის იქნებაო...**

— ამაზე ლაპარაკს არ ვაპირებ. მე ჯერჯერობით „რეალის" მწვრთნელი ვარ.

**— შეიძლება, ზოგი ასე არ ფიქრობს, მაგრამ, ჩემი აზრით, თუ „რეალი" ჩემპიონი გახდება, თქვენ უნდა დარჩეთ...**

— ეს პრეზიდენტის გადასაწყვეტია. ჩვენ ბევრი ვიმუშავეთ, თან კარგად და გუნდი მრავალმხრივ წავიდა წინ.

**— მაგალითად?**

— ამ გუნდს გალაქტიკოს ეძახდნენ და მისგან სასწაულს ელოდნენ. ახლა კი ერთიანი, შეკრული გუნდი ვართ და შედეგსაც ვაღწევთ. ყველას თავისი წვლილი მიუძღვის ამაში.

**— „რეალის" მწვრთნელობას მომავალ სეზონშიც აპირებთ?**

— როგორც უკვე ვთქვი, ეს კალდერონის გადასაწყვეტია. მე კლუბთან კონტრაქტი მაკავშირებს და ბევრჯერ ვთქვი, რომ მას პატივს ვცემ.

**— მომავალი სეზონი უკვე დაგეგმეთ?**

— წესით, დროა...

**— რა სამწუხაროა, რომ დევიდ ბექემი მიდის...**

— დასანანია. იგი ერთ-ერთი მათგანია, რომელმაც საკუთარი ფიზიკური და ფსიქოლოგიური მდგომარეობა საგრძნობლად გააუმჯობესა მას მერე, რაც ეროვნულ ნაკრებში აღარ იძახებდნენ. საკუთარი ქვეყნის ღირსების დაცვა ყველა ფეხბურთელისთვის ძალიან მნიშვნელოვანია. მით უმეტეს, როცა საქმე ინგლისის ნაკრებს ეხება.

**— ცდებოდით, როცა ბექემს არ ათამაშებდით?**

— ჩვენ ყველანი ვცდებოდით. ბექემთან დაკავშირებით გადაწყვეტილება მხოლოდ მე არ მიმიღია, მაგრამ პირველ რიგში ეს ჩემი ბრალი იყო. ჩვენ მართლაც შევცდით ამ შემთხვევაში.

**— ბექემმა მართლაც ძალიან მოუმატა...**

— დიახ, იგი ბრწყინვალე ფეხბურთელია. ახლა დევიდი ისე თამაშობს, როგორც „მანჩესტერ იუნაიტედში" კარიერის საუკეთესო წლებში.

**— რას გააკეთებთ მის შესანარჩუნებლად?**

— პირადად მე ბევრი არაფერი შემიძლია. იგი „რეალისთვის" უმნიშვნელოვანესი ფეხბურთელი იქნება და ძალიან გამიხარდება, თუ ხელმძღვანელობა მეტყვის — ბექემი რჩებაო.

**— ვან ნისტელროიც ბრწყინვალედ თამაშობს, რაც მან გააკეთა, საოცარია...**

— რუუდი ექსტრაორდინალური ფეხბურთელია. მას გოლის გატანის უნიკალური ნიჭი აქვს. ეს იქამდეც ვიცოდით, სანამ „რეალში" გადმოვიდოდა, მაგრამ მოლოდინს ნამდვილად გადააჭარბა.

**— ვინ გადმოიყვანა იგი „რეალში"?**

— პრედრაგ მიატოვიჩმა. ჩვენ ყველას გვინდოდა იგი, მაგრამ ეს პრედრაგის იდეა იყო. მან თქვა, ფორვარდი გვჭირდება და რუუდი იდეალური ვარიანტიაო.

**— კარგია, რომ მას აფასებთ...**

— მე ყველა ფეხბურთელის შრომას ვაფასებ, ასევე „რეალის" ყველა თანამშრომლის. მიატოვიჩმა და ბალდინიმ დიდი, დასაფასებელი სამუშაო გასწიეს.

**— ვან ნისტელროიმ ბოლომდე გაამართლა, აი, ფაბიო კანავარომ კი, პირიქით...**

— მე ვაკვირდებოდი, ფაქტობრივად, ყველა იმ იტალიელი ფეხბურთელის თამაშს, ვინც მსოფლიოს ჩემპიონატი მოიგო. სეზონის პირველ ნახევარში ყველამ შესაძლებლობების მხოლოდ 60 პროცენტის გამოვლენა შეძლო. ისინი მხოლოდ ახლა დაიცალნენ მუნდიალის ემოციებისგან და ფორმა აღიდგინეს. ეს „მილანის" მაგალითზეც კარგად ჩანს. კანავაროს კარგად ვიცნობ, იგი დიდი ფეხბურთელი და ნამდვილი პროფესიონალია. ფაბიო თამაშს უფრო და უფრო აუმჯობესებს.

**— თუმცა ეს ის კანავარო არ არის, რომელიც მუნდიალზე იყო...**

— დიახ, მაგრამ დარწმუნებული ვარ, მომავალ სეზონში ბრწყინვალე იქნება.

**— და „ბარსელონას" კარში ორი გოლის გამტან რაულ ტამუდოზე რას იტყვით? იგი სადილზე უნდა დაპატიჟოთ იმისთვის, რაც გააკეთა...**

— ნამდვილად. მას შეუძლია, შეუკვეთოს ყველაფერი, რაც უნდა.

**— ბოლო მატჩისთვის უფრო ფსიქოლოგიურად ემზადებით, ტაქტიკურად თუ ფიზიკურად?**

— ცოტა-ცოტა ყველაფერზე უნდა ვიმუშაოთ. არც ერთ რგოლში არ გვაქვს მოდუნების უფლება.

**— ისე, თქვენ ბევრი ლაპარაკი არ გიყვართ...**

— ვლაპარაკობ, მაგრამ ზოგიერთ ადამიანს 20 წუთი სჭირდება იმის გასაგებად, რაც ერთ წუთში უნდა გაიგოს. ისიც ყველასთვის ცნობილია, რომ ხუთ წუთზე მეტი ლაპარაკისას ხალხი მოსმენის ინტერესს კარგავს. როცა ვიღაცას ერთი საათის განმავლობაში ვუსმენ, მერე ვკითხულობ ხოლმე — რა თქვა?

**— „სარაგოსასთან" მატჩის შემდეგ იკერ კასილიასზე კარგად ილაპარაკეთ...**

— მასზე ცუდად არასდროს მითქვამს. „სარაგოსასთან" მატჩში მან რამდენიმე რთული ბურთი აიღო და ეს აღვნიშნე. იკერი ჩინებული მეკარეა.

**— ლეო მესის ხელით გატანილ გოლზე რას იტყვით?**

— ახლა იგი მარადონას ორივემხრივ ჰგავს. იგი ძალიან ნიჭიერია და მჯერა, მომავალში თავს სხვა რამეებითაც გამოიჩენს.

**— არ ვიცი, გისურვოთ თუ არა იღბალი...**

— მისურვეთ იღბალი და ბევრი შრომა.

# ემერსონმა სამედიცინო გამოცდა ჩააბარა

## მილანი ახალწვეულებს უთანხმდება



**ესპანური** პრესის ცნობით, ემერსონის „მილანში" გადასვლა, ფაქტობრივად, გადაწყვეტილია.

ბრაზილიელი ნახევარმცველი სამიოდ დღის წინ მილანელოს საწვრთნელ ბაზაზე ყოფილა და სამედიცინო შემოწმებაც გაუვლია. როგორც ჩანს, ამ ტრანსფერის ოფიციალურად გაფორმება უკვე დროის ამბავიღაა.

ემერსონი „რეალში" შარშან ზაფხულს „იუვენტუსიდან" გადავიდა, მაგრამ მადრიდში მისი საქმე ცუდად აეწყო. იგი გუნდს პრიმერადივიზიონის დასრულებამდე მაინც ვერ გამოიცვლის, თუმცა ისეთი მონდომებული ყოფილა, „რეალის" ხელმძღვანელობისა და თავისი აგენტისთვის დაუძალებია, ყველაფერი დროულად მოაგვარეთ, რათა მერე სალაპარაკო აღარაფერი იყოსო.

„მილანზე" ვთქვით და, აქვე მოგახსენებთ, რომ ალბერტო ჯილარდინოს აგენტმა კლაუდიო სკლოზამ ერთხელაც განაცხადა, ჩემი კლიენტი „როსონერიში" რჩება, ჭორებს ყურს ნუ უგდებთო.

„ყველა ჭორი ტურინის „იუვენტუსისა" და სხვა კლუბების შესახებ ტყუილია. „მილანმა" თავიდან თქვა, რომ ალბერტოს 25 მილიონ ევროდ გაყიდიდა, მაგრამ მერე სიტუაცია შეიცვალა. „როსონერი" მას აღარ შეელევა და არც თავად ფეხბურთელი ფიქრობს წასვლაზე. ყველა ცდება, ვინც ჯილარდინოს თამაშს ცუდად აფასებს. ტრავმის მიუხედავად, გასულ სეზონში მან სერია A-ში 12 გოლის გატანა შეძლო" — თქვა სკლოზამ.

მოგეხსენებათ, „მილანს" ჯანლუკა ძამბროტასაც უკავშირებენ...

„ჯანლუკა ესპანეთში რჩება. ძამბროტას არავითარი მიზეზი არ აქვს, გუნდი გამოიცვალოს. კლუბი მისი თამაშით კმაყოფილია და თავადაც მშვენივრად გრძნობს თავს „ბარსელონაში" — დასძინა სკლოზამ, ვინც ძამბროტას აგენტიცაა.

**გიორგი ძაძაბაძე**

# ნუ გეშინიათ, დაუსტვინეთ!

**პატრიკ ვიეირა** ამბობს, რომ ფეხბურთელების ავი ქცევა მსაჯებს რადიკალური და სამართლიანი გადაწყვეტილებების მიღების სურვილს უკარგავს. ადრე „არსენალის", ახლა კი „ინტერის" ფეხბურთელს, ბუნებრივია, თავადაც მრავალჯერ შეულრენია არბიტრისთვის, მაგრამ ის იმასაც გრძნობს, რომ ყველაფერს თავისი ზღვარი აქვს.

„ამ ბოლო დროს ისეთი გრძნობა დამეუფლა, თითქოს მსაჯები მოედანზე მკაფიო გადაწყვეტილების მიღების შიშით გადიან. მეტიც, ხანდახან მეჩვენება, რომ მათ, საერთოდ, მსაჯობის ეშინიათ — თქვა ვიეირამ — მათ მიმართ ყოველი მხრიდან იგრძნობა უარყოფითი დამოკიდებულება. აშკარად ვხედავ იმასაც, რომ ფეხბურთელები არბიტრებს თამაშის სწორად წარმართვაში არ ეხმარებიან და ამ ყოველმხრივი აგრესიის გამო, ისინი უეცარი და რადიკალური გადაწყვეტილებების მიღებას ერიდებიან. მსაჯებს თამაშებზე გასვლა არ სიამოვნებთ, არადა, ეს საქმე კაცს ისეთივე სიამოვნებას უნდა ჰგვრიდეს, როგორც ბურთის თამაში. როდესაც მსაჯი ფიქრობს, რომ ჯარიმაა დასანიშნი, ყოველგვარი ყოყმანის გარეშე, იმ წამს უნდა ჩაბეროს სასტვენს და ჯარიმა დანიშნოს".

გარდა ამისა, ვიეირა ფიქრობს, რომ ფეხბურთის მატჩის მონაწილე მხარეთაგან ყველაზე ჩაკეტილნი და უუფლებონი სწორედ მსაჯები არიან. მათ გაჩუმებას და საზოგადოებისგან იზოლაციას იწვევს ის ზეწოლა, რომელიც მათ ფეხბურთელების თუ ქომაგების მხრიდან ატყდებათ თავს.

„უკვე დროა, გადამწყვეტი როლი ჩვენ, ფეხბურთელებმა ვითამაშოთ. ჩვენ უნდა დავემორჩილოთ მსაჯების გადაწყვეტილებას და მივიღოთ ის, მიუხედავად იმისა, მოგვწონს თუ არა. აუცილებელია ფეხბურთელებსა და მსაჯებს, ან ფეხბურთელებსა და მაყურებელს შორის უფრო მეტი ურთიერთობა დამყარდეს. ჩვენ მათ არ ვიცნობთ და არც ისინი გვიცნობენ ჩვენ. ისე, ბევრი რამ აურაზეც არის დამოკიდებული. არიან მსაჯები, რომელთაც ისეთი აურა აკრავთ, რომ ვაგლახად სიტყვას ვერ შეუბრუნებ. მათ, ვისაც დადებითი აურა აქვს, მსაჯები მოტყუებასაც ვერ უბედავენ. ეს აურა რას ნიშნავს? რას და, სწორ მოძრაობებს, სწორ ჟესტიკულაციას, სწორ გამომეტყველებას. თამაშები სხვადასხვანაირია. ზოგი მეტად დაძაბულია და ბრძოლით სავსე, ზოგი მეგობრული. მსაჯმა მატჩის ხასიათი უნდა ამოიცნოს და თავისი ხასიათი შეუწყოს, თუმცა ორივე შემთხვევაში მთავარია, მატჩის სადავეები მტკიცედ ეპყრას ხელთ".

**ბაბუნა ძიდია**





# ტევესი მართალია, სუაზო გარკვეულია, კასანო ტყუილია

**მილანის** „ინტერის" პრეზიდენტმა დაადასტურა, რომ ვესტჰემელი კარლოს ტევესისა და კალიარელი დავიდ სუაზოს ყიდვა სურს. ასევე უარყო ინფორმაცია, თითქოს ანტონიო კასანოთიც იყოს დაინტერესებული და მის ადრიანოში გაცვლას აპირებდეს. იტალიური ჟურნალ-გაზეთები კი გვამცნობენ, რომ სუაზოს ტრანსფერი 99 პროცენტით უკვე შეთანხმებულია. ეს სარდინიული კლუბის პრეზიდენტმა მასიმო ჩელინომაც დაადასტურა.

მასიმო მორატი: „ტევესი ძალიან მოგვწონს და მის შეძენას ვცდილობთ. იგი მაღალი კლასის მოთამაშეა, ტექნიკური და მებრძოლი ხასიათის. ერთი სიტყვით, ტევესი ზუსტად ის არის, ვინც „ინტერს" სჭირდება. რაც შეეხება კასანოს, ეს უსაფუძვლო ცნობაა, მისით დაინტერესებულნი არ ვართ. ახლა დავიდ სუაზოს გადმოყვანაზე ვზრუნავთ და ვნახოთ, რა გამოვა."

აპენინური პრესის ცნობით, „ინტერმა" და „კალიარიმ" უკვე მიაღწიეს სიტყვიერ შეთანხმებას და მალე ტრანსფერი ოფიციალურ სახეს მიიღებს. ამბობენ, „ნეროაძური" სარდინიელებს ჰონდურასელი თავდამსხმელის სანაცვლოდ 9-10 მილიონ ევროს გადაუხდის და 19 წლის პერსპექტიულ ფორვარდ რობერტ აკვაფრესკას დაუთმობსო.

„მორატის სიტყვა ჩემთვის საკმარისია. შეგვიძლია, ყველაფერი შეთანხმებულად ჩავთვალოთ. სუაზოს „ინტერში" გადასვლას წინ არაფერი უდგას" — თქვა ჩელინომ.

**კოკი კანდელაკი**

# პრეციოზის გამოსავალი წასვლაა

## ჯენოას ახალი პრეზიდენტი ჰყავს

**სერია A-ში** დაბრუნებული „ჯენოას" პრეზიდენტი ენრიკო პრეციოზი პოსტს ტოვებს. ეს მოსალოდნელიც გახლდათ, რადგან მას საეჭვო რეპუტაცია აქვს და კვლავ ედავებიან რაღაც-რაღაცეებს. პრეციოზის გამო შეიძლება გუნდიც კი დაზარალდეს.

„დავიღალე გაუთავებელი შემოტევებით. აღარ მინდა, გუნდი ამის გამო დაზარალდეს და ამიტომ მივდივარ. ცხადია, კლუბის პატრონი ისევ მე ვიქნები, მაგრამ პრეზიდენტი ჯამპატისტა პასტორელი გახდება. ეს დაახლოებით იგივე სიტუაციაა, რაც რამდენიმე წლის წინ „ინტერში" მოხდა, როცა მასიმო მორატიმ პრეზიდენტობა ჯაჩინტო ფაკეტის გადააბარა" — თქვა პრეციოზიმ.

შეგახსენებთ, რომ „ჯენოამ" სერია A-ს საგზური 2004-05 წლების სეზონშიც მოიპოვა, მაგრამ „ვენეციასთან" მატჩის ჩაწყობაში ამხილეს და სერია C-ში დააქვეითეს. პრეციოზი ხშირად დაუდანაშაულებიათ მსაჯების მოსყიდვასა თუ ფინანსურ მაქინაციებში. მას ახლაც ამოუქექეს შავბნელი საქმეები, რის გამოც საფეხბურთო საქმიანობიდან ხუთი წლით მოკვეთა, გენუელებს კი ფულადი ჯარიმა ემუქრებათ.

როგორც ჩანს, საქმე უფრო წინ რომ არ წავიდეს და კლუბი მეტი საფრთხის წინაშე არ აღმოჩნდეს, პრეციოზიმ გამოსავალი გადადგომაში იპოვა.

„პრეზიდენტი აღარ ვიქნები, მაგრამ გასაკეთებელი ჯერ კიდევ ბევრი მაქვს. როცა სერია C-ში დაგვაქვეითეს, ბევრმა საბოლოოდ ჩამოგვწერა, მაგრამ ალბათ ახლა ყველა ხვდება, რა ვიგულისხმე მაშინ, როცა ვთქვი — არ დავნებდებულვარ-მეთქი. ყველა უნდა შეეგუოს, რომ ეს ჩემი კლუბია და სულ აქ ვიქნები. ჩემს მერე ჩემი შვილები იქნებიან და ასე შემდეგ. მინდა, „ჯენოასთან" ერთად წარმატების მიღწევა და წინსვლა გავაგრძელო" — აღნიშნა ენრიკო პრეციოზიმ.

**კოკი კანდელაკი**

# ტუდორი მორჩა, მიკოლი მოგვარჩა

**ტურინის** „იუვენტუსი" კიდევ ერთ მცველს, იგორ ტუდორს შეელია. 29 წლის ხორვატი თავის ყოფილ გუნდში, სპლიტის „ჰაიდუკში" დაბრუნდა. „ბებერი ქალბატონი" ტუდორს კონტრაქტის გახანგრძლივებას კი სთავაზობდა, მაგრამ...

„მიხარია, რომ „ჰაიდუკში" დავბრუნდი. 10-15 დღეში ტრავმის შემდგომ სარეაბილიტაციო კურსს დავამთავრებ და გუნდს შევუერთდები. ბევრი წინადადება მქონდა, მაგრამ „ჰაიდუკი" ჩემთვის პირველ ადგილზე იდგა" — თქვა ტუდორმა.

ხორვატი „იუვეში" 1998 წლის ზაფხულიდან თამაშობდა. ბოლო წლებში საერთოდ ვეღარ ხვდებოდა შემადგენლობაში და ერთი ხანობა, „სიენაშიც" იყო განათხოვრებული. სულ მან „იუვენტუსის" მაისურით 174 მატჩი ჩაატარა და 21 გოლი გაიტანა.

„იუვენტუსის" ახალი მწვრთნელი კლაუდიო რანიერი კი გუნდში ფაბრიციო მიკოლის დაბრუნებას აპირებს, რომელმაც ბოლო წლებში იჯარით „ფიორენტინასა" და „ბენფიკაში" ითამაშა. ლისაბონელებს ახლაც სურთ მისი შენარჩუნება, მაგრამ რანიერის სხვა გეგმები აქვს.

„იგი ისეთი თავდამსხმელია, როგორიც „იუვეს" სჭირდება. მიკოლი ძალიან მომწონს. ვინჩენცო იაკინტა უკვე შევიძინეთ და იმედია, მიკოლითაც გავძლიერდებით" — განაცხადა რანიერიმ.

ესპანური და იტალიური პრესა კი წერს, რომ სადაცაა, ტურინელები „სარაგოსას" არგენტინელ მცველ გაბრიელ მილიტოს შეიძენენ. ტრანსფერი 18 მილიონ ევროდ ფასდება.

**გიორგი ძაძაბაძე**



...აბრამოვიჩი მაგიდებიდან ერთჯერად თეფშებს ილებდა და სანაგვე ტომარაში ყრიდა. თავზე ჭუჭყისგან და ცხიმისგან აპრიალებული, მოქსოვილი ქუდი ეხურა. ერთ-ერთ მაგიდასთან რუსი ჟურნალისტი იჯდა გაზეთ „რეაქციადან“. როცა დამლაგებელი მას მიუახლოვდა, ჟურნალისტმა უთხრა: „თქვენ ძალიან ჰგავხართ აბრამოვიჩს!“ კაცმა უპასუხა: „დიახ, მე აბრამოვიჩი ვარ, ბორის არკადიევიჩი“.

ეს ამბავი სვერდლოვსკის ოლქის ქალაქ კრასნოტურინსკში, ვაგზლის სასადილოში მოხდა და ჟურნალისტმაც დამლაგებელთან ინტერვიუ გააკეთა. ბორის არკადიევიჩი ამტკიცებს, რომ რომან აბრამოვიჩის ტყუპისცალია. „ჩელსის“ პატრონივით ჟღალი წვერი აქვს, ნიკაპთან ჭაღარით...



# ლეიტენანტი აბდუშაჰილი კრასნოტურინსკის ვაგზლიდან

## აქვს თუ არა უკანალზე ხალი რომან აბრამოვიჩს?

— ბავშვთა სახლში გავიზარდე. ვიცი მხოლოდ ის, რომ 1966 წელს სარატოვში დავიბადე და მოწმობაში ბორის არკადიევიჩ აბრამოვიჩი ჩამიწერეს. 90-იანი წლების ბოლოს რომანი პირველად ვნახე ტელევიზორში და მივხვდი, რომ ჩემი ტყუპისცალია! მინდოდა, როგორმე დავკავშირებოდი და მშობლებზე რამე გამეგო. ძმას ვერ მივაგენი, მაგრამ გავიგე, რომ წლინახევრისანი ვიყავით, როცა დედა გარდაგვეცვალა, მამა კი მშენებლობაზე დაიღუპა 1970-ში. ის კი გავირკვა, რომ რომანიც 1966 წელს დაიბადა სარატოვში.

**— რომან არკადიევიჩმა იცის რამე თქვენზე?**

— ათი წელია, ვცდილობ მასთან შეხვედრას, მაგრამ ვერ მოვახერხე. არანაირი საშუალება არ მაქვს, რომ ჩემს შესახებ რამე ვაცნობო. ის ლონდონში ცხოვრობს და მოსკოვში იშვიათად გამოჩნდება ხოლმე. მე კი კრასნოტურინსკში ვარ და მოსკოვში წასასვლელი ფულიც არ მაქვს.

**— კი მაგრამ, ხომ შეგეძლოთ, ჟურნალისტებისთვის გეთქვათ. ეს ხომ სენსაციაა — რომან აბრამოვიჩის ძმა!**

— ჟურნალისტებთანაც ვიყავი. ისინი, როგორც კი აბრამოვიჩის გვარს გაიგებენ, მაშინვე ფულს ითხოვენ. მე კი მათ ვერაფერს გადავუხდი.

**— კრასნოტურინსკში როგორ მოხვდით?**

— სკოლის დამთავრების შემდეგ სამხედრო სასწავლებელში შევედი. ძალიან მიტაცებდა რადიოტექნიკა. მერე გამგზავნეს გორკის სამხედრო აკადემიაში, სადაც ლეიტენანტი გავხდი და იქიდან თავდაცვის სამინისტროს ცენტრალურ აპარატში გამანაწილეს სამუშაოდ.

**— მოსკოვში?**

— დიახ. ამაზე ვერც ვიოცნებებდი. ცხოვრება ისე ამეწყო, როგორც ზღაპარში, მაგრამ ერთი შემთხვევის გამო ყველაფერი დავკარგე. გენერალი „ვოლგით“ მიმყავდა პიროგოვსკის წყალსაცავზე და ტარასოვკასთან ავტომობილის ძრავა ჩაქრა. წყალი უკვე ახლოს იყო და გენერალიც ფეხით წავიდა, მე კი ავტომობილთან დავრჩი. ბევრი ვუჩხიკინე, მაგრამ ვერ დავქოქე. გზის პირას გავედი, გამვლელი „ვოლგა“ გავაჩერე, სადგურამდე გავყევი და იქიდან დავრეკე სამსახურში, დახმარება მჭირდება-მეთქი. მეორე დღეს სუკ-იდან მომაკითხეს და დამკითხეს. აინტერესებდათ, ვის ჩავუჯექი მანქანაში, რაზე ველაპარაკე და ასე შემდეგ. იმ „ვოლგის“ მძღოლი აღმოჩნდა ამერიკის სამხედრო ატაშე. ამერიკელი ჯაშუში, ვისაც უკვე რამდენიმე წელი უთვალთვალებდნენ. ტარასოვკაში კი უცხოელი დიპლომატების აგარაკები იყო. ამის გამო დამსაჯეს და ხუთი წლით თავი მიკრეს სემიპალატინსკის ბირთვულ პოლიგონზე.

**— იქაურობას როგორ დააღწიეთ თავი?**

— ერთხელ მოსკოვიდან პოლკოვნიკი ჩამოვიდა და რომ გაიგო, მეც დედაქალაქიდან ვიყავი, გაუხარდა. დავმეგობრდით და თვენახევარში სვერდლოვსკში გადამიყვანეს, იქიდან კი კრასნოტურინსკში.

**— მას შემდეგ აქ მუშაობთ?**

— არა. მე ისევ სამხედროდ დავრჩი. ჩეჩნეთში რამდენჯერმე ვიყავი. მერე ცხოვრება ამერია. ცოლს გავეყარე და სახლი მას დავუტოვე.

**— ცოლმა იცოდა, რომ რომან აბრამოვიჩი თქვენი ძმაა?**

— სწორედ ამის გამო გამცილდა. ვერაფრით შეეგუა იმას, რომ არ მივაკითხე რომანს და არ ჩავუვარდი მუხლებში. მილიარდერის ძმა კრასნოტურინსკში რატომ უნდა ლპებოდესო, მეუბნებოდა მეუღლე. ახლა კი ასე ვარ — ვცხოვრობ მიწურში, სანამ არ გამომაძევებენ და ვმუშაობ დამლაგებლად.

**— არ გწყინდათ, რომ თქვენი ძმა რუსეთის უმდიდრესი კაცი გახდა, თქვენ კი სასადილოში თეფშებს ალაგებდით?**

— რა უნდა მეწყინოს? ჩვენ სხვადასხვა ბედი გვაქვს. სულაც არ მაინტერესებს, როგორ იშოვა რომანმა ფული. ყოჩაღ, რომ გამდიდრდა. მეც კარგად ვცხოვრობდი, სანამ იმ ჯაშუშს გადავეყრებოდი. ყველაზე მეტად ის მაინტერესებს, თუ როგორ მოვხვდი ბავშვთა სახლში. რატომ გაგვაცალკევეს ტყუპები? აი, ამის გაგება მინდა.

**— ბავშვთა სახლს აღარ მიაკითხეთ?**

— როგორ არა! მივაკითხე, მაგრამ აღარ არსებობს. იმ ადგილზე სხვა რაღაც ააშენეს. არქივიც დაკარგულია. ამ ქვეყანაში ხომ სულ ასეთი ბარდაკია...

**— რას ფიქრობთ, სინამდვილეში რა მოხდა?**

— ვინ იცის. ეგებ სამშობიაროდან მომიპარეს და მერე რატომღაც მიმაგდეს. ასეც ხდება ხოლმე. ან იქნებ მშობლებს უჭირდათ და მე ბავშვთა სახლში მიმაბარეს. არ ვიცი... მოხდა და მოხდა. არავისზე არ ვბრაზობ, ეს ჩემი ცხოვრებაა. ვფიქრობ, რომ მე და რომანი ერთი მთელის ორი ნაწილი ვართ. მე არ მიმართლებს, რომანმა კი, პირიქით — ყველაფერი კარგად აწყო. ხუთი შვილის მამა. „ჩელსი“ იყიდა, სიქტივკარიდან ლონდონში ჩაალწია, მე კი კრასნოტურინსკს ვერ გავცდი. ცოლებთან დაკავშირებითაც ერთნაირად მოვიქეცით. ჩემს მეუღლეს რომ გავეყარე, ყველაფერი დავუტოვე, რომანმა კი, როგორც ვიცი, ნახევარი ქონება მისცა. იქნებ მეც გამიმართლოს. ჯერჯერობით აქ ვარ. ვაგზალზე სამუშაო ყოველთვისაა. ხან სასადილოში ვალაგებ, ხან მტვირთავად ვმუშაობ.

**— რომანთან შეხვედრა არ გინდათ?**

— რა თქმა უნდა, მინდა! ის ხომ ძმაა.

**— და რაზე ილაპარაკებთ?**

— არ ვიცი... პირველ რიგში, მშობლებზე ვკითხავ. დედა ალბათ მასაც არ ახსოვს, მამა კი უნდა ახსოვდეს.

**— იქნებ სამუშაოც გინახოს...**

— მასთან მუშაობას ალბათ ვერ შევძლებ. მე ხომ სამხედრო ვარ და წოდებით უფროსების ბრძანებათა შესრულებას მივეჩვიე, ძმის ბრძანებას კი არ შევასრულებ. საინტერესოა, მე ვარ უფროსი თუ ის?

**— როგორ გგონიათ?**

— მგონია, მე ვარ უფროსი, რადგან ყველა უბედურება ჩემს თავზე ავიღე და რომანს ავაცილე. მას ყველაფერი საუკეთესო ერგო და დაიმსახურა კიდეც. ასეთები ვართ ჩვენ — აბრამოვიჩები, სხვისი არაფერი გვინდა.

**— ფეხბურთი გიყვართ?**

— ძალიან. ეს კიდევ ერთი საბუთია იმისა, რომ ჩვენ ტყუპები ვართ, თუმცა ამჟამად ტელევიზორი არ მაქვს, ვერ ვუყურებ ფეხბურთს. „ჩელსი“ კიდევ უფრო გაძლიერდება. ჩემი ძმა საამისოდ არაფერს დაიშურებს.

**— თუ ოდესმე შეხვდებით რომანს, როგორ დაუმტკიცებთ, რომ თქვენი ტყუპისცალია?**

— ჩვენ ხომ გაჭრილი ვაშლივით ვგავართ ერთმანეთს! ამას თავი დავანებოთ, ერთ ქალაქში დავიბადეთ, 1966 წელს. გვარი და მამის სახელიც ერთი გვაქვს. მე ხომ არ მომიგონია, დაბადების მოწმობაში წერია. ესეც რომ არა, უკანალზე ხალი მაქვს და თუ ნიკაპზე ისეთივე ჭაღარას ვატარებ, როგორსაც რომანი, მასაც უნდა ჰქონდეს ხალი. აი, ასე შევამოწმებ, თუ ოდესმე შევხვდები...



## ის თუ მოვა, ეს წავა

**კარლ-ჰაინც** რუმენიგემ განაცხადა, რომ როი მაკაი იმ შემთხვევაში წავა „ბაიერნიდან“, თუ მიროსლავ კლოზეს შეძენას მოახერხებენ...

„ჰოლანდიელი ფორვარდის გაყიდვას არ ვაპირებთ მანამდე, სანამ კლოზეს არ ვიყიდით. წასვლა უნდა სანტა კრუზსაც, მაგრამ იმ შემთხვევაში გავუშვებთ, თუ სათანადო შემცვლელს მოვუნახავთ. რაც შეეხება დანიელ ვან ბუიტენს, არსად მიდის. მისი გაშვება არც კი გვიფიქრია“ — განაცხადა რუმენიგემ.

## ჰოოგლანდი ჩაქვეითდა

**ტიმ ჰოოგლანდი** „შალკედან“ „მაინცში“ გადავიდა, რომელიც მეორე ბუნდესლიგაში გავარდა.

22 წლის მცველმა ახალ კლუბთან სამწლიან კონტრაქტს მოაწერა ხელი.

გასულ სეზონში „შალკეს“ მაისურით მან 9 მატჩი ითამაშა, სულ კი „ხუმარებში“ სამ წელიწადში 12 მოუგროვდა.

## ლინდეროტის გალა

**შვედეთის** ნაკრების ნახევარმცველი ტობიას ლინდეროტი „კოპენჰაგენიდან“ „გალათასარაიში“ გადაბარგდა და სამწლიანი კონტრაქტი გააფორმა.

შვედი 2004 წელს „ევერტონიდან“ იყიდა „კოპენჰაგენმა“ და 127 მატჩში 6 გოლი შეაგდო.

მისი ხელშეკრულება დანიურ კლუბთან 2008-ის ზაფხულში იწურებოდა, მაგრამ კოპენჰაგენელებს კონტრაქტის განახლებაზე ვერ მოურიგდა.

## ესიენი 2

**„ილ მესაჯეროს“** ცნობით, „რომამ“ ახალი მიკაელ ესიენი აღმოაჩინა და მის შეძენას ლამობს. ეს „რიმინის“ 22 წლის განელი ლეგიონერი აჰმედ ბარუსოა. იგი საყრდენი ნახევარმცველია და, როგორც ამბობენ, თამაშის მანერით ძალიან ჰგავს ესიენს.

ბარუსოს ყიდვა შარშან „არსენალს“ და „მილანს“ უნდოდათ, მაგრამ ფეხი მოიტეხა და გარიგება ჩაიშალა.

## პარმა დი კარლოსია

**„პარმას“** მწვრთნელად დომენიკო დი კარლო დანიშნეს, რომელმაც ტურინის „იუვენტუსში“ წასული კლაუდიო რანიერი შეცვალა.

ახალმა თავკაცმა პარმელებთან ერთწლიანი კონტრაქტი გააფორმა შემდგომში გახანგრძლივების პერსპექტივით.

დომენიკო დი კარლოს მედიას ოფიციალურად დღეს წარუდგენენ.

43 წლის მწვრთნელი გასულ სეზონში „მანტოვაში“ მუშაობდა.

**ვაჟა ხუციშვილი**

ქართული ბიბლიოთეკა

# სარბიელი და კროკო

## წარმოგიდგენთ

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | იტალია. სერია B | | | | | | |
| | | 15 ივნისი | | | | | | |
| 21:00 | 263 | სპეცია-ვერონა | 2.35 | 2.90 | 3.00 | 1.29 | 1.31 | 1.47 |
| | | ესპანეთი. I დივიზიონი | | | | | | |
| | | 17 ივნისი | | | | | | |
| 19:00 | 3 | ბილბაო-ლევანტე | 1.35 | 4.80 | 7.50 | 1.05 | 1.14 | 2.92 |
| 19:00 | 4 | სელტა-ხეტაფე | 1.40 | 4.30 | 7.00 | 1.05 | 1.16 | 2.66 |
| 19:00 | 5 | ესპანიოლი-დეპორტივო | 1.75 | 3.40 | 4.50 | 1.15 | 1.25 | 1.93 |
| 23:00 | 6 | ტარაგონა-ბარსელონა | 11.00 | 6.00 | 1.20 | 3.88 | 1.08 | 1.00 |
| 23:00 | 7 | ოსასუნა-ატლეტიკო | 3.10 | 3.40 | 2.10 | 1.62 | 1.25 | 1.29 |
| 23:00 | 8 | რეალი-მალიორკა | 1.13 | 7.00 | 15.00 | 1.00 | 1.05 | 4.77 |
| 23:00 | 9 | უელვა-სარაგოსა | 3.25 | 3.00 | 2.20 | 1.55 | 1.31 | 1.26 |
| 19:00 | 10 | რასინგი-ბეტისი | 3.55 | 3.30 | 2.00 | 1.71 | 1.27 | 1.24 |
| 23:00 | 11 | სევილია-ვილიარეალი | 1.80 | 3.60 | 3.90 | 1.20 | 1.23 | 1.87 |
| 19:00 | 12 | ვალენსია-სოსიედადი | 2.05 | 3.50 | 3.10 | 1.29 | 1.23 | 1.64 |
| | | ესპანეთი. II დივიზიონი | | | | | | |
| | | 16 ივნისი | | | | | | |
| 20:00 | 13 | ალავესი-პონფერადინა | 1.70 | 3.20 | 4.60 | 1.11 | 1.24 | 1.88 |
| 20:30 | 14 | ალბასეტე-ლორკა | 1.60 | 3.30 | 5.20 | 1.07 | 1.22 | 2.01 |
| 20:00 | 16 | კადისი-რეალი(ბ) | 1.70 | 3.20 | 4.60 | 1.11 | 1.24 | 1.88 |
| 19:30 | 17 | კასტელონი-მალაგა | 1.95 | 3.00 | 3.75 | 1.18 | 1.28 | 1.66 |
| 20:30 | 18 | სპორტინგი-ხერესი | 2.20 | 3.00 | 3.10 | 1.26 | 1.28 | 1.52 |
| 20:30 | 19 | პერკულესი-ელჩე | 2.10 | 3.10 | 3.20 | 1.25 | 1.26 | 1.57 |
| 20:30 | 20 | ლას პალმასი-ეხიდო | 2.10 | 3.00 | 3.30 | 1.23 | 1.28 | 1.57 |
| 20:30 | 21 | მურსია-ტენერიფე | 1.70 | 3.20 | 4.60 | 1.11 | 1.24 | 1.88 |
| 22:30 | 22 | ნუმანსია-ვალიადოლიდი | 2.50 | 3.10 | 2.55 | 1.38 | 1.26 | 1.39 |
| 21:30 | 23 | სალამანკა-სიუდადი | 2.30 | 3.00 | 3.00 | 1.30 | 1.30 | 1.50 |
| | | 17 ივნისი | | | | | | |
| 20:30 | 15 | ალმერია-ვეცინდარიო | 1.45 | 3.70 | 6.50 | 1.04 | 1.18 | 2.35 |
| | | ბელგია. II დივიზიონი | | | | | | |
| | | 14 ივნისი | | | | | | |
| 22:30 | 24 | ანტვერპენი-კორტრაიკი | 1.35 | 4.10 | 7.00 | 1.01 | 1.13 | 2.58 |
| 22:30 | 25 | მეხელენი-ლიერსი | 2.00 | 3.20 | 3.20 | 1.23 | 1.23 | 1.60 |
| | | რუსეთი | | | | | | |
| | | 16 ივნისი | | | | | | |
| 14:30 | 26 | ცსკა მ-ტომსკი | 1.35 | 4.10 | 7.00 | 1.01 | 1.13 | 2.58 |
| 12:00 | 27 | ენერგია-ლოკომოტივი მ | 3.10 | 2.70 | 2.35 | 1.44 | 1.33 | 1.25 |
| 16:00 | 28 | ხიმკი-ზენიტი | 3.10 | 2.90 | 2.25 | 1.49 | 1.30 | 1.26 |
| 18:30 | 29 | რუბინი-კრილია | 2.30 | 2.70 | 3.25 | 1.24 | 1.34 | 1.47 |
| 17:30 | 30 | სატურნი-როსტოვი | 1.85 | 3.00 | 4.10 | 1.14 | 1.27 | 1.73 |
| 19:30 | 33 | ნალჩიკი-ამკარი | 2.05 | 2.80 | 3.80 | 1.18 | 1.33 | 1.61 |
| | | 17 ივნისი | | | | | | |
| 14:00 | 31 | მოსკოვი-სპარტაკი მ | 2.95 | 2.70 | 2.45 | 1.40 | 1.33 | 1.28 |
| 20:30 | 32 | ყუბანი-დინამო მ | 2.35 | 2.80 | 3.10 | 1.27 | 1.33 | 1.47 |
| | | ნორვეგია. ტიპელიგა | | | | | | |
| | | 16 ივნისი | | | | | | |
| 21:00 | 44 | ლინი-ბრანი | 2.60 | 3.30 | 2.40 | 1.45 | 1.24 | 1.38 |
| | | 17 ივნისი | | | | | | |
| 20:00 | 45 | ალესუნდი-სტაბეკი | 3.10 | 3.20 | 2.15 | 1.57 | 1.26 | 1.28 |
| 20:00 | 46 | ფრედრიკსტადი-სტარტი | 2.25 | 3.30 | 2.85 | 1.33 | 1.25 | 1.52 |
| 20:00 | 47 | სანდეფიორდი-სტრიომსგოდსეტი | 2.15 | 3.30 | 3.10 | 1.30 | 1.26 | 1.59 |
| 20:00 | 48 | ვიკინგი-ტრომსიო | 1.90 | 3.40 | 3.80 | 1.21 | 1.26 | 1.79 |
| 22:00 | 49 | ლილესტრიომი-ვოლერენგა | 1.90 | 3.30 | 3.90 | 1.20 | 1.27 | 1.78 |
| | | 18 ივნისი | | | | | | |
| 21:00 | 50 | ოდ გრენლანდი-რუსენბორგი | 5.00 | 3.40 | 1.65 | 2.02 | 1.24 | 1.11 |
| | | ნორვეგია. I დივიზიონი | | | | | | |
| | | 16 ივნისი | | | | | | |
| 18:00 | 51 | პამარი-მოსი | 1.65 | 3.50 | 4.30 | 1.12 | 1.19 | 1.92 |
| | | 17 ივნისი | | | | | | |
| 20:00 | 52 | ბოდიო გლიმტი-რაუფოსი | 1.30 | 4.70 | 7.00 | 1.01 | 1.09 | 2.81 |
| 20:00 | 53 | პაუგესუნდი-მოლდე | 2.90 | 3.30 | 2.10 | 1.54 | 1.21 | 1.28 |
| 20:00 | 54 | კონგსვინგერი-ლოვ პამი | 1.80 | 3.40 | 3.60 | 1.17 | 1.20 | 1.74 |
| 20:00 | 55 | მანდალი-სპარტა ს | 2.30 | 3.30 | 2.60 | 1.35 | 1.22 | 1.45 |
| 20:00 | 56 | ნოტოდენი-პიონეფოსი | 2.40 | 3.30 | 2.50 | 1.38 | 1.22 | 1.42 |
| 20:00 | 57 | სკეიდი-სოგნდალი | 3.15 | 3.30 | 2.00 | 1.61 | 1.22 | 1.24 |
| 20:00 | 58 | ტრომსდალენი-ბრინი | 2.60 | 3.30 | 2.30 | 1.45 | 1.22 | 1.35 |
| | | შვედეთი. ალსვენსკა | | | | | | |
| | | 14 ივნისი | | | | | | |
| 21:00 | 64 | გაის-ელფსბორგი | 3.80 | 3.40 | 1.85 | 1.79 | 1.24 | 1.19 |
| 21:00 | 65 | მალმიო-პალმსტადი | 1.70 | 3.40 | 4.50 | 1.13 | 1.23 | 1.93 |
| | | შვედეთი | | | | | | |
| | | სუპერეტა | | | | | | |
| | | 14 ივნისი | | | | | | |
| 21:00 | 74 | ენჩიოპინგი-მიალბი | 2.30 | 3.30 | 2.75 | 1.35 | 1.25 | 1.49 |
| 21:00 | 75 | პეკენი-ლიუნგსკილე | 1.60 | 3.50 | 4.70 | 1.09 | 1.19 | 2.00 |
| | | ფინეთი | | | | | | |
| | | 14 ივნისი | | | | | | |
| 19:30 | 84 | პაკა-ტამპერე | 2.65 | 3.10 | 2.50 | 1.42 | 1.28 | 1.38 |
| 19:30 | 85 | იარო-ვიიკინგიტი | 1.90 | 3.30 | 3.60 | 1.20 | 1.24 | 1.72 |
| 19:30 | 86 | კტპ-ვპს | 2.00 | 3.20 | 3.50 | 1.23 | 1.27 | 1.67 |
| 19:30 | 87 | ტურკუ-პონკა | 2.10 | 3.20 | 3.30 | 1.26 | 1.28 | 1.62 |
| | | ისლანდია | | | | | | |
| | | 14 ივნისი | | | | | | |
| 23:15 | 254 | ფილკირი-კოპავოგური | 1.80 | 3.30 | 3.90 | 1.16 | 1.23 | 1.78 |
| 23:15 | 255 | კეფლავიკი-ფრამი | 1.60 | 3.40 | 4.90 | 1.08 | 1.20 | 2.00 |
| 23:45 | 256 | რეიკიავიკი-პაფნაფიორდული | 5.00 | 3.50 | 1.55 | 2.05 | 1.18 | 1.07 |
| 23:15 | 257 | ბრეიდაბლიკი-აკრანესი | 2.15 | 3.10 | 3.00 | 1.26 | 1.25 | 1.52 |
| | | აშშ | | | | | | |
| | | 14 ივნისი | | | | | | |
| 23:45 | 103 | სოლტ ლეიკი-დალასი | 2.65 | 3.20 | 2.50 | 1.44 | 1.28 | 1,40 |
| | | 15 ივნისი | | | | | | |
| 23:45 | 104 | ნიუ ინგლენდი-კოლამბუსი | 1.70 | 3.30 | 4.40 | 1.12 | 1.22 | 1.88 |
| 23:45 | 105 | ნიუ იორკი-კანზასი | 2.00 | 3.10 | 3.40 | 1.21 | 1.25 | 1.62 |
| 23:45 | 106 | ვაშინგტონი-ჩიკაგო | 1.85 | 3.20 | 3.90 | 1.17 | 1.25 | 1.75 |
| 23:45 | 107 | ჩივასი-კოლორადო | 2.05 | 3.10 | 3.30 | 1.23 | 1.26 | 1.59 |
| | | ბრაზილია | | | | | | |
| | | 14 ივნისი | | | | | | |
| 23:45 | 120 | ბოტაფოგო-ვასკუ და გამა | 2.35 | 3.20 | 2.65 | 1.35 | 1.24 | 1.44 |
| | | ევროპის | | | | | | |
| | | ჩემპიონატი(21) | | | | | | |
| | | 14 ივნისი | | | | | | |
| 20:15 | 145 | ჩეხეთი (21)-სერბეთი(21) | 3.20 | 3.20 | 2.10 | 1.60 | 1.26 | 1.26 |
| 22:45 | 146 | ინგლისი (21)-იტალია(21) | 3.00 | 3.10 | 2.25 | 1.52 | 1.28 | 1.30 |
| | | ირლანდია. თასი | | | | | | |
| | | 15 ივნისი | | | | | | |
| 22:45 | 294 | გალვეი-პერპსი | 1.60 | 3.30 | 5.20 | 1.07 | 1.22 | 2.01 |
| 22:45 | 295 | დროგედა-ბოჰემიანი | 2.10 | 3.20 | 3.10 | 1.26 | 1.25 | 1.57 |
| 23:00 | 296 | შელბურნი-კორკი | 5.50 | 3.50 | 1.55 | 2.13 | 1.20 | 1.07 |
| | | 16 ივნისი | | | | | | |
| 22:30 | 297 | შემროკი-სლიგო | 1.57 | 3.40 | 5.20 | 1.07 | 1.20 | 2.05 |
| | | აფრიკის თასი | | | | | | |
| | | საკვალიფიკაციო | | | | | | |
| | | 15 ივნისი | | | | | | |
| 14:00 | 298 | ალჟირი-გვინეა | 1.60 | 3.60 | 4.30 | 1.10 | 1.16 | 1.95 |
| 14:00 | 299 | ანგოლა-სვაზილანდი | 1.08 | 7.00 | 15.00 | 1.00 | 1.00 | 4.77 |
| 14:00 | 300 | ბენინი-ტოგო | 2.80 | 3.20 | 2.25 | 1.49 | 1.24 | 1.32 |
| 14:00 | 301 | ბოტსვანა-მავრიტანია | 1.80 | 3.30 | 4.00 | 1.16 | 1.24 | 1.80 |
| 14:00 | 302 | ბურკინა ფასო-ტანზანია | 1.45 | 3.50 | 6.00 | 1.02 | 1.16 | 2.21 |
| 14:00 | 303 | ბურუნდი-ეგვიპტე | 4.50 | 3.30 | 1.70 | 1.90 | 1.23 | 1.12 |
| 14:00 | 304 | კამერუნი-რუანდა | 1.07 | 7.50 | 15.00 | 1.00 | 1.00 | 5.00 |
| 14:00 | 305 | კაპე ვერდე-გამბია | 1.80 | 3.40 | 3.85 | 1.17 | 1.22 | 1.80 |
| 14:00 | 306 | კონგო-სამხრეთ აფრიკა | 2.85 | 3.00 | 2.30 | 1.46 | 1.27 | 1.30 |
| 14:00 | 307 | ერიტრეა-კენია | 2.05 | 3.20 | 3.20 | 1.24 | 1.24 | 1.60 |
| 14:00 | 308 | ლესოტო-უგანდა | 3.00 | 3.20 | 2.10 | 1.54 | 1.23 | 1.26 |
| 14:00 | 309 | ლიბია-ეთიოპია | 1.65 | 3.40 | 4.80 | 1.11 | 1.22 | 1.99 |
| 14:00 | 310 | მადაგასკარი-გაბონი | 3.80 | 3.70 | 1.70 | 1.87 | 1.17 | 1.16 |
| 14:00 | 311 | მალავი-მაროკო | 3.70 | 3.30 | 1.85 | 1.74 | 1.23 | 1.18 |
| 14:00 | 312 | მალი-სიერა ლეონე | 1.13 | 6.00 | 13.00 | 1.00 | 1.03 | 4.10 |
| 14:00 | 313 | მოზამბიკი-სენეგალი | 3.65 | 3.20 | 1.90 | 1.70 | 1.24 | 1.19 |
| 14:00 | 314 | ნამიბია-დრ კონგო | 2.40 | 3.00 | 2.70 | 1.33 | 1.27 | 1.42 |
| 14:00 | 315 | ტუნისი-მავრიკი | 1.05 | 8.00 | 18.00 | 1.00 | 1.00 | 5.53 |
| 14:00 | 316 | ზამბია-ჩადი | 1.13 | 6.50 | 11.00 | 1.00 | 1.02 | 4.08 |
| 14:00 | 318 | ლიბერია-ეკვ.გვინეა | 1.65 | 3.60 | 4.00 | 1.13 | 1.16 | 1.89 |
| | | შვედეთი. თასი | | | | | | |
| | | 14 ივნისი | | | | | | |
| 21:00 | 155 | პამარბი-ნორჩიოპინგი | 1.70 | 3.40 | 4.70 | 1.13 | 1.24 | 1.97 |

# I ტაიმის შედეგი

| | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| 10064 | გაის-ელფსბორგი | 4.15 | 2.10 | 2.35 | 1.39 | 1.50 | 1.10 |
| 10065 | მალმიო-ჰალმსტადი | 2.15 | 2.10 | 4.85 | 1.06 | 1.48 | 1.46 |
| 10074 | ენჩიოპინგი-მიალბი | 2.70 | 2.00 | 3.20 | 1.14 | 1.46 | 1.23 |
| 10075 | ჰეკენი-ლიუნგსკილე | 2.05 | 2.20 | 5.20 | 1.06 | 1.47 | 1.54 |
| 10084 | ჰაკა-ტამპერე | 3.15 | 2.00 | 2.90 | 1.22 | 1.50 | 1.18 |
| 10085 | იარო-ვიიკინგიტი | 2.30 | 2.10 | 4.00 | 1.09 | 1.46 | 1.37 |
| 10086 | კტპ-ვპს | 2.45 | 2.00 | 3.85 | 1.10 | 1.49 | 1.31 |
| 10087 | ტურკუ-პონკა | 2.50 | 2.00 | 3.70 | 1.11 | 1.49 | 1.29 |
| 10145 | ჩეხეთი (21)-სერბეთი(21) | 3.65 | 2.00 | 2.50 | 1.29 | 1.48 | 1.11 |
| 10146 | ინგლისი (21)-იტალია(21) | 3.50 | 2.00 | 2.65 | 1.27 | 1.50 | 1.13 |
| 10155 | ჰამარბი-ნორჩიოპინგი | 2.15 | 2.10 | 5.20 | 1.06 | 1.52 | 1.49 |

# I ტაიმი/ძირითადი დრო

| | | 1/1 | 1/X | 1/2 | X/1 | X/X | X/2 | 2/1 | 2/X | 2/2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 11064 | გაის-ელფსბორგი | 5.30 | 10.00 | 20.00 | 6.00 | 4.40 | 4.00 | 20.00 | 10.00 | 3.00 |
| 11065 | მალმიო-ჰალმსტადი | 2.30 | 10.00 | 20.00 | 3.50 | 4.60 | 7.50 | 20.00 | 10.00 | 7.00 |
| 11074 | ენჩიოპინგი-მიალბი | 3.50 | 10.00 | 20.00 | 4.40 | 4.40 | 5.30 | 20.00 | 10.00 | 4.40 |
| 11075 | ჰეკენი-ლიუნგსკილე | 2.20 | 10.00 | 20.00 | 3.50 | 4.60 | 9.00 | 20.00 | 10.00 | 8.00 |
| 11084 | ჰაკა-ტამპერე | 4.00 | 10.00 | 20.00 | 4.80 | 4.40 | 4.40 | 20.00 | 10.00 | 3.60 |
| 11085 | იარო-ვიიკინგიტი | 2.80 | 10.00 | 20.00 | 3.80 | 4.40 | 6.50 | 20.00 | 10.00 | 5.60 |
| 11086 | კტპ-ვპს | 3:00 | 10.00 | 20.00 | 4.00 | 4.40 | 6.00 | 20.00 | 10.00 | 5.30 |
| 11087 | ტურკუ-პონკა | 3.00 | 10.00 | 20.00 | 4.00 | 4.40 | 6.00 | 20.00 | 10.00 | 5.30 |
| 11145 | ჩეხეთი (21)-სერბეთი(21) | 4.80 | 10.00 | 20.00 | 5.60 | 4.40 | 4.20 | 20.00 | 10.00 | 3.30 |
| 11146 | ინგლისი (21)-იტალია(21) | 4.40 | 10.00 | 20.00 | 5.00 | 4.40 | 4.60 | 20.00 | 10.00 | 3.50 |
| 11155 | ჰამარბი-ნორჩიოპინგი | 2.30 | 10.00 | 20.00 | 3.50 | 4.60 | 7.50 | 20.00 | 10.00 | 7.00 |

## რამდენი გოლი გავა მატჩში (ძირითადი დრო) (2,5-ზე ნაკლები - 2,5-ზე მეტი)

| | | ნაკ. | მეტ. |
|---|---|---|---|
| 12064 | გაის-ელფსბორგი | 1.70 | 1.90 |
| 12065 | მალმიო-ჰალმსტადი | 1.70 | 1.90 |
| 12074 | ენჩიოპინგი-მიალბი | 1.70 | 1.90 |
| 12075 | ჰეკენი-ლიუნგსკილე | 1.90 | 1.70 |
| 12084 | ჰაკა-ტამპერე | 1.70 | 1.90 |
| 12085 | იარო-ვიიკინგიტი | 1.90 | 1.70 |
| 12086 | კტპ-ვპს | 1.90 | 1.70 |
| 12087 | ტურკუ-პონკა | 1.90 | 1.70 |
| 12145 | ჩეხეთი (21)-სერბეთი(21) | 1.55 | 2.00 |
| 12146 | ინგლისი (21)-იტალია(21) | 1.55 | 2.00 |
| 12155 | ჰამარბი-ნორჩიოპინგი | 1.90 | 1.70 |

## გაიტანს თუ არა ორივე გუნდი მატჩში გოლს (ძირითადი დრო)

| | | კი | არა |
|---|---|---|---|
| 13064 | გაის-ელფსბორგი | 1.70 | 1.90 |
| 13065 | მალმიო-ჰალმსტადი | 1.90 | 1.70 |
| 13074 | ენჩიოპინგი-მიალბი | 1.70 | 1.90 |
| 13075 | ჰეკენი-ლიუნგსკილე | 1.70 | 1.90 |
| 13084 | ჰაკა-ტამპერე | 1.70 | 1.90 |
| 13085 | იარო-ვიიკინგიტი | 1.70 | 1.90 |
| 13086 | კტპ-ვპს | 1.90 | 1.70 |
| 13087 | ტურკუ-პონკა | 1.70 | 1.90 |
| 13145 | ჩეხეთი (21)-სერბეთი(21) | 1.90 | 1.70 |
| 13146 | ინგლისი (21)-იტალია(21) | 1.90 | 1.70 |
| 13155 | ჰამარბი-ნორჩიოპინგი | 1.70 | 1.90 |

## რომელი გუნდი გახსნის მატჩში ანგარიშს

(მატჩის 0-0 დამთავრების შემთხვევაში, ორივე ფსონი დაბრუნდება [illegible])

| | | | |
|---|---|---|---|
| 14064 | გაის-ელფსბორგი | 2.20 | 1.70 |
| 14065 | მალმიო-ჰალმსტადი | 1.45 | 2.40 |
| 14074 | ენჩიოპინგი-მიალბი | 1.80 | 2.00 |
| 14075 | ჰეკენი-ლიუნგსკილე | 1.30 | 2.50 |
| 14084 | ჰაკა-ტამპერე | 1.95 | 1.85 |
| 14085 | იარო-ვიიკინგიტი | 1.70 | 2.20 |
| 14086 | კტპ-ვპს | 1.70 | 2.20 |
| 14087 | ტურკუ-პონკა | 1.75 | 2.10 |
| 14145 | ჩეხეთი (21)-სერბეთი(21) | 2.10 | 1.75 |
| 14146 | ინგლისი (21)-იტალია(21) | 2.00 | 1.80 |
| 14155 | ჰამარბი-ნორჩიოპინგი | 1.45 | 2.40 |

## რომელ ტაიმში გავა მეტი გოლი

| | | I-ში | თანაბრად | II-ში |
|---|---|---|---|---|
| 15064 | გაის-ელფსბორგი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15065 | მალმიო-ჰალმსტადი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15074 | ენჩიოპინგი-მიალბი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15075 | ჰეკენი-ლიუნგსკილე | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15084 | ჰაკა-ტამპერე | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15085 | იარო-ვიიკინგიტი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15086 | კტპ-ვპს | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15087 | ტურკუ-პონკა | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15145 | ჩეხეთი (21)-სერბეთი(21) | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15146 | ინგლისი (21)-იტალია(21) | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15155 | ჰამარბი-ნორჩიოპინგი | 3.00 | 2.80 | 2.00 |

## ფრეს გარეშე (ძირ დრო)

| | | | |
|---|---|---|---|
| 16064 | გაის-ელფსბორგი | 2.45 | 1.40 |
| 16065 | მალმიო-ჰალმსტადი | 1.24 | 3.60 |
| 16074 | ენჩიოპინგი-მიალბი | 1.62 | 2.05 |
| 16075 | ჰეკენი-ლიუნგსკილე | 1.22 | 3.40 |
| 16084 | ჰაკა-ტამპერე | 1.85 | 1.80 |
| 16085 | იარო-ვიიკინგიტი | 1.34 | 2.80 |
| 16086 | კტპ-ვპს | 1.40 | 2.55 |
| 16087 | ტურკუ-პონკა | 1.50 | 2.30 |
| 16145 | ჩეხეთი (21)-სერბეთი(21) | 2.20 | 1.50 |
| 16146 | ინგლისი (21)-იტალია(21) | 2.10 | 1.60 |
| 16155 | ჰამარბი-ნორჩიოპინგი | 1.24 | 3.60 |

## გოლი: ლუწი-1 თუ კენტი-2 (0:0 ითვლება ლუწად)

| | | | |
|---|---|---|---|
| 17064 | გაის-ელფსბორგი | 1.85 | 1.95 |
| 17065 | მალმიო-ჰალმსტადი | 1.85 | 1.95 |
| 17074 | ენჩიოპინგი-მიალბი | 1.85 | 1.95 |
| 17075 | ჰეკენი-ლიუნგსკილე | 1.85 | 1.95 |
| 17084 | ჰაკა-ტამპერე | 1.85 | 1.95 |
| 17085 | იარო-ვიიკინგიტი | 1.85 | 1.95 |
| 17086 | კტპ-ვპს | 1.85 | 1.95 |
| 17087 | ტურკუ-პონკა | 1.85 | 1.95 |
| 17145 | ჩეხეთი (21)-სერბეთი(21) | 1.85 | 1.95 |
| 17146 | ინგლისი (21)-იტალია(21) | 1.85 | 1.95 |
| 17155 | ჰამარბი-ნორჩიოპინგი | 1.85 | 1.95 |

# შესაძლო ცვლილებები დააზუსტეთ ადგილზე

რაგბი

## საქართველოს ჩემპიონატი

პირველი წრე. მეოთხე ტური. 12-13 ივნისი

**დინამო 25:19 არმაზი**

**დინამო:** ჯეირანაშვილი, აგიაშვილი, გრძელიშვილი, შიოშვილი, ციბაძე, ლირსიაშვილი, კრესი, გაგნიძე, მურვანიძე, მოქია, მეიშვილი, ჭიჭინაძე, რამიშვილი, ხვიჩია, აზალაძე

**შეცვლაზე შევიდნენ:** გოგიშვილი, ანდრესოვი

3ლ: აგიაშვილი, ჭიჭინაძე, აზალაძე; 2გ: ჯეირანაშვილი; 2ს: ჯეირანაშვილი

**არმაზი:** ჩაიძე, ბადრი ურჯუკაშვილი, კაიფაჯიანი, გეთიაშვილი, მინაშვილი, ბექა ურჯუკაშვილი, მეავანძე, კოკოლაშვილი, მაჭარაძე, სოსელია, ჯიშკარიანი, ლიპარტელიანი, კანდელაკი, მელიქიძე, ცირეკიძე

**შეცვლაზე შევიდნენ:** ძნელაძე, ქართველიშვილი, ლამბაშიძე

2ლ: სოსელია, ცირეკიძე; 3ს: ბექა ურჯუკაშვილი

**თსუ 7:45 ლელო**

**თსუ:** ფირაძე, ხუციშვილი, ლვინჯილია, კიკვიძე, კავთიძე, ნუცუბიძე, ნიკლაური, ალადაშვილი, კაკოვინი, დონაძე, გუჯარაიძე, მჭედლიძე, კილასონია, დათუნაშვილი, დარასელია

**შეცვლაზე შევიდნენ:** ნადარეიშვილი, გოგიშვილი, მახარაშვილი

1ლ: დონაძე; 1გ: ნიკლაური

**ლელო:** ყიასაშვილი, ზაალიშვილი, თოდუა, მანჯავიძე, ცერცვაძე, ხმალაძე, თოფურია, სხილაძე, ცხოვრებაშვილი, სანიკიძე, ჩიტიძე, მაისურაძე, მძინარიშვილი, ჯამრულიძე, ახალაია

**შეცვლაზე შევიდნენ:** ჯოგლიძე, ცხაკაია, კობეშავიძე

5ლ: ცერცვაძე (2), ზაალიშვილი, ახალაია, თოდუა; 4გ: ყიასაშვილი; 4ს: ყიასაშვილი

**ლოკომოტივი 25:16 ყოჩები**

**ლოკომოტივი:** პეტრაშვილი, ტურაშვილი, ხეჩიკოვი, კახიანი, მგელაძე, ბერიშვილი, ნიშნიანიძე, ყურაშვილი, ლვინჯილია, კვინიხიძე, ანდღულაძე, ბერძენიშვილი, გუგავა, ასათიანი, ქავთარაძე

**შეცვლაზე შევიდა:** მთიულიშვილი

3ლ: გუგავა, პეტრიაშვილი, ასათიანი; 2ს: კვინიხიძე; 2გ: კვინიხიძე

**ყოჩები:** ასეიშვილი, ჭავჭავაძე, შეყლაშვილი, ბულაშვილი, არჩუაშვილი, ბრეგვაძე, ახვლედიანი, კუჭუხიძე, ხელაძე, კობახიძე, კუპრეიშვილი, ადანაია, ჟამუტაშვილი, ნიჟარაძე, გეგენავა

**შეცვლაზე შევიდნენ:** კალმახელიძე, კუჭუხიძე, მახარაშვილი, კოკნაველიძე, ჩოჩიშვილი, მეტრეველი

2ლ: ბრეგვაძე, კობახიძე; 2ს: კობახიძე



# ლოკომოტივის მექანიკა მეხანიკაა

**12-13 ივნისს** „მიხეილ მესხის" სათადარიგო მოედანზე საქართველოს ჩემპიონატის პირველი წრის ბოლოსწინა ტური გაიმართა. 13 ივნისს ერთმანეთს გათამაშების ორი ლიდერი — „ლოკომოტივი" და „ყოჩები" დაუპირისპირდნენ. ამ გუნდებს მეოთხე ტურამდე თამაში არ წაეგოთ. ტრადიციულად მათი შეხვედრები სატურნირო ვითარებისდა მიუხედავად ძალიან დაძაბულია. ამ კონკრეტულ შეხვედრას კი ინტრიგას ისიც მატებდა, რომ ეს ჯახი გამოავლენდა ჩემპიონატის ლიდერს, ხოლო თამაშის ხარისხის შემხედვარე შინაური რაგბის გულშემატკივარი გუნდების კონკურენტუნარიანობას გაარკვევდა.

მატჩის მსვლელობის სცენარი რამდენჯერმე შეიცვალა და „ლოკომოტივმა" მხოლოდ ბოლო ათ წუთში შეძლო გადამწყვეტი უპირატესობის მოპოვება. ანგარიში ჯარიმით „ყოჩებმა" გახსნეს, რასაც მოლით გატანილი ლელოც მიაყოლეს და არცთუ მცირერიცხოვანი გულშემატკივარი სენსაციისთვის შეამზადეს.

პირველ ტაიმში „ყოჩებმა" მოწინააღმდეგე თითქმის ყველა კომპონენტში დაჩაგრეს. მოვარკინალებიც უფრო ყინჩად გამოიყურებოდნენ და „ლოკომოტივის" მოწოდებულ აუტებსაც ხშირად ისაკუთრებდნენ. მაგრამ ტაიმის მიწურულს ბობა კვინიხიძემ ლამაზი პასით ლექსო გუგავა გაიყვანა სალელოვე პოზიციაზე და მანაც თანაგუნდელები არ გააწბილა. ჯამში პირველი ნახევარი 13:8 დასრულდა „ლოკომოტივის" სასარგებლოდ.

მეორე ტაიმი „ყოჩების" ლელოთი დაიწყო, რასაც „ლოკომოტივმა" მხოლოდ ტაიმის მიწურულს მოლით გატანილი ლელოთი უპასუხეს. შეხვედრის კულმინაციური მომენტი კი გიორგი „მეხანიკა" ასათიანმა შექმნა, ის თავისივე შეგდებულ ბურთს შეჰყვა და მარტომ გაიტანა დამაგვირგვინებელი ლელო.

ტურის ცენტრალურ ჯახამდე ერთი დღით ადრე კი როგორც იქნა, „დინამომ" გამარჯვება მოიპოვა „არმაზთან", ხოლო დებიუტანტი თსუ პირწმინდად დაამარცხა „ლელომ".

პირველი წრის ბოლო ტური კი მომავალ უქმეებზე გაიმართება.

**ზურაბ მიგრიაული**

## სატურნირო მდგომარეობა

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| ლოკომოტივი | 3 | 3 | 0 | 0 | +61 | 6 |
| ყოჩები | 4 | 3 | 0 | 1 | +16 | 6 |
| ლელო | 3 | 2 | 0 | 1 | +68 | 4 |
| დინამო | 4 | 1 | 0 | 3 | -30 | 2 |
| არმაზი | 4 | 1 | 0 | 3 | -18 | 2 |
| თსუ | 4 | 1 | 0 | 3 | -68 | 2 |



# ევროპამდე ირანი და უკრაინაა

**საქართველოს** ახალგაზრდული ნაკრები საევროპო მზადების ეშხში შედის — დავით უსტიაშვილმა 20-წლამდელები 10 დღეა, შეკრიბა და საკალათბურთო აკადემიის დარბაზში ადენინებს ოფლს. გუშინ ახალგაზრდებმა ღია ვარჯიში გამართეს, რის შემდეგაც მასმედიასთან უახლოეს გეგმებზეც ისაუბრეს.

მთავარი სიახლე ისაა, რომ უკრაინაში წასვლამდე 20-წლამდელები 3 ამხანაგურ მატჩს გამართავენ. 20 ივნისს თბილისში ჩამოვა ირანის ახალგაზრდული ნაკრები, რომელთან სპარინგშიც დავით უსტიაშვილი სათამაშო ტაქტიკასაც დახვეწს და საევროპო შემადგენლობასაც საბოლოოდ დაასახელებს.

„ბიჭები ნელ-ნელა შედიან ფორმაში და ერთად თამაშს ეგუებიან — გვითხრა დავით უსტიაშვილმა — მათი უმრავლესობა ერთმანეთს კარგად იცნობს და იმედია, გუნდურ თამაშს ალლოს კარგად აუღებენ.“

ერთადერთი წევრი აკლიათ ახალგაზრდებს — ფლორიდის კოლეჯში მოთამაშე ლაშა ფარლალავა, რომელმაც საკალათბურთო სეზონი კი დახურა, მაგრამ სწავლა არ დამთავრებულა და 20 ივნისს ბოლო გამოცდას თუ წარმატებით ჩააბარებს, გათავისუფლდება.

„ფარლალავა საჭირო მოთამაშეა და კარგი იქნებოდა, ის თავიდანვე ჩვენთან ყოფილიყო, მაგრამ სწავლას ვერ მიატოვებს და ჩვენც იძულებულები ვართ, დაველოდოთ. მას სავიზო საქმეებიც მოსაგვარებელი აქვს და შესაძლოა, უკრაინაში ვერ წამოგვყვეს“ — ესეც უსტიაშვილის სიტყვებია.

რიჩარდ მათიაშვილმა, რომელმაც რამდენიმე ვარჯიში ფეხის ტკივილის გამო გამოტოვა, ტრავმა მოიშუშა და გუნდს შეუერთდა. ხელი სტკივა ლუკა ნოზაძეს, რომელიც ალბათ საევროპო შემადგენლობის მიღმა დარჩება.

ფორმის აღდგენის პროცესშია ახალგაზრდული ნაკრების ერთ-ერთი იმედი, 215-სანტიმეტრიანი გიორგი შერმადინი, რომელმაც 2 თვის წინ მენისკის ოპერაცია გაიკეთა და ახლა მუხლის რეაბილიტაციას ეშურება. მას ჯამლეტ ხუხაშვილმა პირადი ექიმი აუყვანა, რომელიც შერმადინს ვარჯიშებზე დაჰყვება და მითითებებს აძლევს.

ირანელებთან ნასპარინგევი უსტიაშვილის გუნდი 27 ივნისს კიევში გაემგზავრება და უკრაინის ნაკრებთანაც სამ მატჩს გამართავს, მერე თბილისში დაბრუნდება და სლოვენიის მყუდრო ქალაქ ნოვო გორიცაში გაემგზავრება, სადაც 6 ივლისს ევროპის ჩემპიონატის ფინალური ეტაპი იწყება. ჯგუფში ჩვენების მეტოქეები იქნებიან იტალიის, ბულგარეთისა და ლატვიის გუნდები.

**ირაკლი ბერტაია**

# კატაჩმა ცინცაძეს მაკაბში უხმო

**თელ ავივის** „მაკაბის“ ახალდანიშნული მწვრთნელი ოდეტ კატაჩი შემადგენლობის გადახალისებას შეუდგა და იცით, ვისით დაინტერესდა? გიორგი ცინცაძით — საქართველოს ნაკრების 21 წლის გამთამაშებლით, რომელმაც დღე-დღეზე ესტონურ „როკთან“ კონტრაქტი უნდა გაახანგრძლივოს.

„ჩემმა მენეჯერმა დამირეკა და მითხრა, რომ თელ ავივის „მაკაბი“ დაინტერესებულია და გასასინჯად მიწვევს. არ ვიცი, სად მნახეს ებრაელებმა, მაგრამ ფაქტი სახეზეა და ძალიან მესიამოვნა, ევროპის ერთ-ერთი საუკეთესო კლუბი რომ ჩემით დაინტერესდა. სამწუხაროდ, გასინჯვაზე ვერ მივდივარ, რადგან ესტონეთიდან ტრავმა ჩამომყვა და მკურნალობა მესაჭიროება — გვითხრა გიორგი ცინცაძემ — ფეხს რომ მოვირჩენ, მერე ალბათ აღარ წავალ, რადგან, სავარაუდოდ, „როკთან“ კონტრაქტი უკვე გაფორმებული მექნება. გამზადებულ კონტრაქტზე იმის გამო უარის თქმა, რომ თუნდაც ევროპის უძლიერეს კლუბში გასასინჯად წავიდე, არ ღირს. ებრაელებმა რომ არ დამიტოვონ, მერე ეგებ „როკი“ უკვე დაკომპლექტებული იყოს.“

შეგახსენებთ, რომ ცინცაძეს თელ ავივში ევროლიგის ახალგაზრდულ ტურნირში უბურთავია, როცა ცსკა-ს შემადგენლობაში ეს შეჯიბრი მოიგო და საუკეთესო მოთამაშის პრიზიც ირგუნა.

**ირაკლი ბერტაია**




**სან ანტონიო 3:0 კლივლენდი**

12 ივნისი. კლივლენდი. 20 562 მაყურებელი

# ვერა შესწვდა ლებრონი ვერაფერსა

**კლივლენდი 72:75 სან ანტონიო**

*18:16 20:24 12:15 22:20*

**კლივლენდი:** გიბსონი (2), პავლოვიჩი (13), ჯეიმსი (25 ქულა, 8 მოხსნა, 7 პასი), გუდენი (13 ქულა, 12 მოხსნა), ილგაუსკასი (12 ქულა, 18 მოხსნა); ვარეჟაო (4), ჯონსი (3), სნოუ, მარშალი

**სან ანტონიო:** პარკერი (17), ფინლი (7), ბოუენი (13 ქულა, 9 მოხსნა), დანკანი (14 ქულა, 9 მოხსნა), ობერტო (6); ბერი (9), ჯინობილი (3), პორი (3), ვონი (2), ელსონი (1)

„ისტორიული თამაში გველის. ახლა ჩვენ გვიჩნდება შანსი, ეს სერია რადიკალურად შემოვატრიალოთ!“ — ლებრონ ჯეიმსის ეს მატჩამდელი რიხიანი სიტყვები სიტყვებადვე დარჩა. „კლივლენდ კავალიერზმა“ 37-წლიან ისტორიაში პირველად უმასპინძლა პლეი ოფის ფინალურ მატჩს და... ისევ დამარცხდა.

არ გამოსდის ამ გუნდს „სან ნატონიოსთან“ თამაში და რა ქნას, არ არის ჯერ ლებრონ ჯეიმსი ასეთი ჯახებისთვის მომწიფებული. მარტო ჟიდრუნას ილგაუსკასის მოხსენებით კი ასეთ გამობრძმედილ გუნდს ბევრს ვერას დააკლებ.

ისე, ჩემპიონობაზე საუბარი დროებით გადავდოთ — „კლივლენდს“ ერთი მოგებაც საქმეში ჩაეთვლებოდა, მიუახლოვდა კიდეც ამ ერთ სანუკვარ გამარჯვებას, მაგრამ ხელი ველარ წაატანა. გასვლაზე ორი წაგების შემდეგ შინაც დამარცხდა და ფინალში პირველი გამარჯვება სულ ცოტა ორი დღით გადადო. „სან ანტონიო“ კი შეგვიძლია, ჩემპიონადაც ჩავთვალოთ — 3:0 იგებს და ნბა-ს 60-წლოვან ისტორიას არ ახსოვს შემთხვევა, რომ ვინმეს ამხელა უპირატესობა გაენიავებინოს. 0:2 ანგარიშზე „კლივლენდს“ კიდევ შერჩენოდა მისხალი შანსი. აკი აღმოსავლეთის ფინალშიც „დეტროიტს“ ჯერ 0:2 ჩამორჩა, მერე კი ზედიზედ ოთხჯერ მოუგო, მაგრამ ლებრონი მხოლოდ ეპიზოდებში თუ ჰგავდა იმ ლებრონს, რომელმაც „დეტროიტს“ ერთ თამაშში 48 ქულა აძგერა. „სან ანტონიოს“ კი ეპიზოდებით ვერ აჯობებ, თუ მართლა არ აჯობე.

„კავალერიის“ სტრატეგოსმა მაიკ ბრაუნმა ამჯერად აღარ წააგო ინტელექტუალური დუელი თავის ყოფილ მასწავლებელთან, აწ კი ოპონენტ გრეგ პოპოვიჩთან. პირიქით, მისმა შეგირდებმა თამაშის რიტმიდან ამოაგდეს „სფურზის“ სამივე ლიდერი — ტიმ დანკანი, ტონი პარკერი და მანუ ჯინობილი. თამაში დაცვაში ჩახურეს, შეტევაში კი ასე თუ ისე გახსნეს და ლებრონსაც მთელ სერიაში პირველად გაუჩნდა ქულების კეთების შესაძლებლობა. მაგრამ კიდევ ვთქვათ, „კლივლენდი“, როგორც გუნდი ჯერ ისე არ მომწიფებულა, რომ „სან ანტონიოს“ კლასი გადაწონოს.

„კავალერიამ“ ეს შეხვედრა წინამორბედებზე მეტი ომახით დაიწყო. შესვენებებისას მასპინძელთა მასკოტი „ძაღლუკა“ სანანტონიოელ „კოიოტს“ სცემდა და აბეჩავებდა, დარბაზში ერთი ამბავი იყო. „კლივლენდმაც“ თითქოს უპირატესობა მოიპოვა — ტიმ დანკანს რამდენიმე სროლა კი გაუვიდა, მაგრამ მან პირველივე წუთებში ორი პერსონალური მიიღო და ხანგრძლივად დაჯდა. ამასობაში კი „კავალერიამ“ პირველი მეოთხედი 18:16 მოიგო და მეორეში ჯერ 23:17, შემდეგ კი 38:30 დაწინაურდა. მაგრამ მასპინძლებმა ვერ შეინარჩუნეს დანკანის არყოფნაში სტუმართა ფარზე მოპოვებული და ქულებში ასახული უპირატესობა. გრეგ პოპოვიჩმა იმდენჯერ აიღო წუთშესვენება, რომ ბოლოს და ბოლოს თამაშის მიმდინარეობას შეუცვალა მიმართულება და თავისთვის სასურველ კალაპოტში ჩააყენა. მაიკ ბრაუნი აქ უძლური იყო. მისი შეგირდები აშკარად ვერ იყვნენ სანანტონიოელთა სიმაღლეზე, უამრავ სროლას აფუჭებდნენ, სტუმრებმა კი ლიდერთა უხეირო თამაში მეორე თანრიგის მოთამაშეთა სამქულიანებით გამოასწორეს და შორ სროლებში 10:3 აჯობეს მასპინძლებს, რომლებსაც ტრავმის გამო აკლდათ ძირითადი გამთამაშებელი, წინა ორ თამაშში პარკერისგან ჩაგრული ლარი ჰიუზი, მისი შემცვლელი დანიელ გიბსონი კი მოედანზე იყო და არც იყო.

მეორე მეოთხედის ბოლოს „სან ანტონიომ“ ჯაჯგურა თამაშში 10:0 გაქცევა მოიწყო, ლიდერობა საბოლოოდ ჩამოართვა მასპინძლებს და 40:38 ანგარიშით „კლივლენდი“ კვლავ აფორიაქებული გაუშვა დიდ შესვენებაზე. მესამე მეოთხედში თამაში კიდევ უფრო ჩაიხუთა და კალათებმაც თითქოს პირი შეკრეს — იშვიათად იღებდნენ ნასროლ ბურთებს. „სან ანტონიომ“ მაინც 15:12 იმარჯვა ამ თორმეტ წუთში და ბოლო მეოთხედში 5-ქულიანი უპირატესობით შეაბიჯა.

ხომ ასეთი უყმური გამოვიდა ეს შეხვედრა, მაგრამ წინა ორისგან განსხვავებით, დაძაბულობა მაინც მიჰყვა ბოლო წამამდე. დაიწყო დასკვნითი მეოთხედი და სტუმართა სათადარიგო ბრენტ ბერიმ სამქულიანი დააქუხა. შემდეგ ტიმ დანკანმა პირველი მეოთხედის მერე პირველად მოახერხა ჩაგდება და „სფურზი“ 10 ქულით გალიდერდა. ეს იყო ამ შეხვედრის ყველაზე დიდი სხვაობა. მეოთხე პერიოდის შუაწელიდან „კლივლენდმა“ საფუძვლიანად იწყო ჩამორჩენის გაბათილებაზე ზრუნვა. ნუ დავუკარგავთ და, აქ სწორედ ლებრონმა იყოჩაღა. ორი საჯარიმოს ჩამგდებ დანკანს თუ არ ჩავთვლით, 4-წუთიან მონაკვეთში მხოლოდ ის აგროვებდა ქულებს და მასპინძელთა ჭაბუკმა ლიდერმა დამთავრებამდე 1:20 წუთით ადრე 67:69 დააწია თავისიანები სტუმრებს. აქ პარკერმა და პავლოვიჩმა თითო სამქულიანი გაცვალეს. დროის ამოწურვამდე 10 წამით ადრე მანამდე 27 წუთი სრულიად უქულოდ მოთამაშე მანუ ჯინობილიმ ორიდან ერთი საჯარიმო ჩააგდო და 73:70 ანგარიშზე „კლივლენდს“ შანსი დაუტოვა. მასპინძლები დაიბნენ, იმის ნაცვლად, რომ სამქულიანი სროლა მოემზადებინათ, ლებრონი გარღვევაზე წავიდა და მინიმუმამდე შეამცირა სხვაობა — 73:72, ჯინობილიმ კი ორი საჯარიმოთი დაუსვა წერტილი თამაშს.

14 ივნისს სერიის მეოთხე მატჩს კვლავაც კლივლენდი მასპინძლობს.

**კოტე ყორშია**



ლებრონ ჯეიმსის (მარჯვნივ) „კლივლენდი“ ვერც ამჯერად გადაახტა ტიმ დანკანის „სან ანტონიოს“

ეროვნული ბიბლიოთეკა

ერთი თავი დაუწერელი წიგნიდან

# აშკარა, დაუჯერებელი

## ნახევრად დაცლილი ტრიბუნები, გაუტეხელი ვითა და გატეხილი ნეკნი

„არაფრით არ მეგონა, ბოლო წუთებში თუ მოვიგებდით. ქარაბაკი რომ მოედანზე გავიდა, 12 ქულას ვაგებდით თამაშის დამთავრებამდე 2 წუთზე ნაკლები რჩებოდა. მისი სამქულიანის შემდეგ ვიფიქრე, 3-4 ქულით წავაგებთ-მეთქი. თუმც გავრისკეთ და ზონურ პრესინგს მივმართეთ. შეიძლებოდა, ამის შემდეგ მეტოქე 20 ქულით დაწინაურებულიყო, მაგრამ გაგვიმართლა და გავიმარჯვეთ" — ეს სიტყვები კალათბურთის ფედერაციის ახლანდელმა პრეზიდენტმა ბესიკ ლიპარტელიანმა 1996 წლის 18 სექტემბრის საღამოს წარმოთქვა, როცა მისმა გაწვრთნილმა „ვითამ" ევროპის თასის ჯგუფურ ეტაპზე უნგრული „კიორმენდი" დაამარცხა. ასეთ თამაშებს ვერ იგებენ, ან იგებენ ათწლეულებში ერთხელ. დამოუკიდებელ ქართულ კალათბურთშიც მოხდა ერთხელ ასეთი რამ, რასაც ამ გამარჯვების სულისჩამდგმელი ბესიკ ლიპარტელიანი სწორედ იმ თამაშის პერიპეტიებს იხსენებს...

**ირაკლი პერტაია**






ამ მონაკვეთში მე არ ავიღე წუთშესვენება, არადა, მქონდა ამის შესაძლებლობა. ჩვენი მდგომარეობა ძალიან დამძიმდა მაშინ, როცა სირენამდე 2 წუთით ადრე მედისონი საჯარიმოს ხაზზე დადგა. ამ დროს 10 ქულას ვაგებდით და იმედი, ფაქტობრივად, გადაგვეწურა. მოულოდნელად „კიორმენდის" ამერიკელმა ლეგიონერმა ერთი საჯარიმო ააცილა და რამდენიმე წამში წუთშესვენებაც ავიღე.

**ეს იყო** ქართული კლუბის პირველი გასვლა ევროპულ სარბიელზე. მანამდე მხოლოდ ეროვნული ნაკრები თამაშობდა საერთაშორისო მატჩებს და „ვითას" ხელმძღვანელობაც ძალიან მონდომებული იყო. მონდომება ერთია და შესაძლებლობა მეორე — გუნდმა ვერ მოახერხა უცხოეთში შეკრების გავლა, სპარინგ-მატჩების ძლიერ კლუბებთან გამართვა. მოსამზადებელი ციკლი საირმეში გავიარეთ, რასაც ის პლუსი ნამდვილად ჰქონდა, რომ ბურთით შედარებით ნაკლები ვარჯიშის ხარჯზე, ფიზიკურად გავძლიერდით. როგორც აღმოჩნდა, ამას გადამწყვეტი მნიშვნელობა ჰქონდა იმ მატჩში, რომელიც ჩვენ უნგრულ „კიორმენდს" სასწაულებრივად მოვუგეთ.

ჯგუფში ხუთი მეტოქე გვყავდა, რომლებზეც არანაირი ინფორმაცია არ გაგვაჩნდა. შესაბამისად, არ ვიცოდით, ვისთან რა ტაქტიკით გვეთამაშა და გადავწყვიტეთ, კონტრშეტევებზე გაგვეკეთებინა აქცენტი. თავიდან ასე დავიწყებდით და მერე, გზადაგზა გამოჩნდებოდა, თუ როგორ ვითამაშებდით. არც ის ვიცოდით, რომ უნგრელებს ამერიკელი ჰყავდათ. შავკანიანი დელმონტ მედისონის გამოჩენა ჩვენთვის მოულოდნელობა იყო.

თამაში დაიწყო. დაახლოებით თანაბარი ბრძოლა გაჩაღდა, თუმც უნგრელები მცირედით თითქმის სულ წინ იყვნენ. სპორტის სასახლე პირთამდე არ გავსებულა, მაგრამ ბლომად ხალხი კი იყო და მაყურებლის მხარდაჭერას ვგრძნობდით. მე არ ვიყავი სტაჟიანი მწვრთნელი და ევროტურნირზე თამაში ერთგვარი ფსიქოლოგიური დატვირთვა იყო. მათი ლიდერი სწორედ ის ამერიკელი აღმოჩნდა. მედისონმა პირველ ტაიმში ბევრი პრობლემა შეგვიქმნა და მას მეურვეს ვუნაცვლებდი — ხან რეზო ჩხეიძე იჭერდა, ხან დუდუ დადიანი.

პირველი ტაიმი ერთი ქულით წავაგეთ და გასახდელში ბიჭებს უფრო დამაჯერებლად მივეცი დავალებები, ვიდრე თამაშის დაწყებისას. უკვე შემექმნა წარმოდგენა, თუ რა ყაიდის კალათბურთს თამაშობდა მეტოქე და ბიჭებს დავავალე, დაცვაზე გაეკეთებინათ მთელი აქცენტი, შეტევაში კი ფიზიკურ ბრძოლებს არ მორიდებოდნენ. მაშინ კომპიუტერი არ გვქონდა და სტატისტიკას შესვენებაზე არავინ განახებდა. თუმც მეტოქე გუნდის მწვრთნელიც იმავე სიტუაციაში იყო და მეორე ტაიმში გამოჩნდებოდა, ვინ უკეთ აუღო ალღო თამაშის მსვლელობას.

დავით უსტიაშვილი გამთამაშებლის პოზიციიდან მოვხსენი და მის ნაცვლად მოედანზე დუდუ დადიანი შევიყვანე. ანუ ორი მსროლელით განვაახლეთ თამაში — დადიანთან ერთად იყო რევაზ ჩხეიძეც. შესაბამისად, დაცვაში საქმე გამოსწორდა და მეტოქეს წინ გაჭრის შესაძლებლობა აღარ მივეცით. ამ ტაქტიკას ბოლოს და ბოლოს უნგრელებმა გასაღები მოარგეს და სირენამდე 5 წუთი რომ რჩებოდა, შტურმი მოგვიწყვეს. ორწუთიან მონაკვეთში მათ არაერთი სწრაფი შეტევა განავითარეს და 11-ქულიან უპირატესობას მიაღწიეს.

მოედანზე 17 წლის, გამოუცდელი ლევან ქარაბაკი შევუშვი და ბიჭებს ზონური პრესინგის დაყენება დავავალე. შეტევაში გია სანაძის მიზანს უნდა დავყრდნობოდით, მისი სამქულიანების იმედად ვიყავით. განახლდა თუ არა თამაში, ქარაბაკმა არც აცია, არც აცხელა და იმის ნაცვლად, რომ სანაძისთვის მიეცა პასი, აიღო და სამქულიანი ჩააგდო — დასრულებამდე წუთი და 47 წამი რჩებოდა.

უნგრელები შეტევაზე წამოვიდნენ, 20 წამი მოიგეს, მაგრამ უსტიაშვილმა დაცვაში იყოჩაღა და ჩხეიძემ სწრაფი გარღვევით ჩააგდო. ჩამორჩენა 6 ქულამდე შევამცირეთ, სირენამდე კი წუთი და 25 წამი რჩებოდა.

მიუხედავად ამისა, მდგომარეობა მაინც უიმედო იყო და ტრიბუნებზეც თითქმის განახევრდა ხალხი. აღარავის სჯეროდა, რომ ასეთი მატჩის მოგება შეიძლებოდა. ამასობაში „კიორმენდმა" ბურთი შემოიტანა და ვახტანგ ნაცვლიშვილმა მედისონს ჩაუჭრა. ვატოს შესანიშნავი პასი გამოუვიდა, ბურთი სანაძეს მიუვიდა და მანაც ფარქვეშიდან სხვაობა 4 ქულამდე შეამცირა — 64:68.

ეს უკვე სასწაულს ჰგავს, სხვაობა 4 ქულაა, სირენამდე კი წუთზე მეტი რჩება. უნგრელების ლიდერი მედისონი გაბრაზდა, არავის არ გაუწია ანგარიში და პირდაპირ ჩვენი ფარისკენ დაიძრა. დაცვაში საუკეთესოდ ითამაშა გია სანაძემ, რომელიც წესების დაცვით გადაეღობა ამერიკელს და ბურთი გააგდებინა.

ჩვენი შეტევა — უსტიაშვილი სამქულიანს აცილებს, ფარიდან ასხლეტილი ბურთისთვის ბრძოლაში კი ჩხეიძე ჯარიმდება და „კიორმენდის" კაპიტანი ჟებე ორივე სროლას აგდებს — სირენამდე დაახლოებით 45 წამით ადრე უნგრელები ისევ 6 ქულას გვიგებენ.

მერე იყო სანაძის განწირული სამქულიანი, რომელიც რომ არ ჩავარდნილიყო, ვერანაირად ველარ მოვიგებდით. გიამ ლამის ცენტრიდან ისროლა და სხვაობა 3 ქულამდე შეამცირა. მერე 2 წამში თითქმის იმავე ადგილიდან ჩააგდო ბურთი. უნგრელებს ჩხეიძემ ჩაუჭრა. თვალებს არ ვუჯერებდით. სირენამდე ნახევარი წუთით ადრე ანგარიში გავათანაბრეთ.

თუმცა მალევე ჩამოვრჩით, უნგრელების 217-სანტიმეტრიან ცენტრ რაიან ციგლერზე დავჯარიმდით და მანაც ორიდან ერთი ჩააგდო. სირენამდე 15 წამი რჩებოდა და ჩვენ შეტევის ასეთი გეგმა შევიმუშავეთ: ბურთს ქარაბაკი შეიტანდა და მეტოქე რომ სანაძეს ამოკეტავდა, პასს ნაცვლიშვილს მისცემდნენ. თუ ვატო ვერ ჩააგდებდა, ჯარიმას მაინც აიკიდებდა.

ეს იყო სწორი თამაში, შორიდან სროლით გარისკვა არ შეიძლებოდა. ქარაბაკის შეტანილი ბურთი ჩხეიძემ ლევანს უკან დაუბრუნა. ყველა ველოდით, რომ ის ნაცვლიშვილს მიაწვდიდა პასს, მაგრამ ქარაბაკი ფარისკენ დაიძრა, ჰაერში დატრიალდა და სირენამდე 4 წამით ადრე „ვითა" დააწინაურა — 72:71.

ისეთი ამბები დატრიალდა, ძნელია ყველაფრის გახსენება. მე მოედანზე შევედი, არადა, თამაში მიმდინარეობდა. მაშინ ბურთის ჩავარდნისას წამზომი არ ჩერდებოდა და სანამ ჩვენები ქარაბაკს და ერთმანეთს ულოცავდნენ, „კიორმენდის" ერთ-ერთი მოთამაშე გამოიქცა და ცენტრს გადმოსცდა თუ არა, სამიანი ესროლა. არადა, მას კიდევ ჰქონდა 2 წამი, მაგრამ რატომღაც ეგონა, რომ დრო იწურებოდა და, ჩვენდა საბედნიეროდ, საჯარიმოსკენ სვლა შეწყვიტა, შორიდანვე ესროლა. ბურთი რკალს მოხვდა და ამოვისუნთქეთ. ზოგიერთი ისე იყო გახარებული და ზეიმობდა, არც გაუგია, რომ უნგრელებმა შეტევა წამოიწყეს და გააცუდეს.

დარბაზში დარჩენილი ხალხი სიხარულისგან ღრიალებდა. მოედანზე ზედახორა გაკეთდა. მაყურებლებიც შემოცვივდნენ და ვილაც ისე დამეჯახა, ნეკნი გამიტეხა. ეს მეორე დღეს გავიგე, როცა ექიმთან მივედი, თორემ იმ წუთებში და მთელი საღამო ტკივილი არც მიგრძვნია, ისეთი გახარებული ვიყავი.

არ დამავიწყდება მეტოქეთა თვალები. მთელი „კიორმენდი" შეძრწუნებული იყო, არ სჯეროდათ, რომ წააგეს. პრესკონფერენციაზე უნგრელთა მწვრთნელმა ყველაფერი ამერიკელ მედისონს დააბრალა და თქვა, ასეთი წაგებული თამაში არც მინახავს და არც არავისგან გამიგონიაო.

ჩვენი გამარჯვება იმდენად წარმოუდგენელი იყო, რომ დარბაზიდან ნაადრევად გასული, ხელჩაქნეული გულშემატკივრები შედარებით მომთმენ და თამაშზე ბოლომდე დარჩენილ ქომაგებს არ უჯერებდნენ, როცა ისინი სიხარულისგან გადარეულნი გაცვივდნენ ქუჩაში.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# მეცხრე ავსტრიული

## გაისად იუბილე და ბევრი სიურპრიზი იქნება



ევა ბერგერი და ლეილა მესხი

**ლეილა მესხის** საჩოგბურთო აკადემიის კორტებზე ეს კვირა ტრადიციული საერთაშორისო ტურნირისაა. ავსტრიის ავიახაზების თასი წლეულს მეცხრედ თამაშდება 14 და 16-წლამდელი ჩოგბურთელებისათვის. შეჯიბრი უკვე მეოთხედფინალამდეა მისული, გუშინ კი სპეციალური პრესკონფერენციაც მოეწყო. მასმედიას ჩოგბურთის ფედერაციის პრეზიდენტი ლეილა მესხი, ავსტრიის ავიახაზების გენერალური დირექტორი ევა ბერგერი და საქართველოს სპორტის დეპარტამენტის თავმჯდომარე დავით ნამგალაური შეხვდნენ.

პირველი სიტყვა ტრადიციულად მესხისა იყო:

„ტურნირი ევროპის ასოციაციის ეგიდით ტარდება და სასიხარულოა, რომ წლიდან წლამდე უფრო და უფრო პოპულარული ხდება. ამ დროისთვის მესამე კატეგორია გვაქვს მონიჭებული. მეორეს მისაღებად ერთ-ერთი მთავარი მოთხოვნა ცხრა ქვეყნის ჩოგბურთელების ჩამოსვლაა. წლევანდელ ტურნირზე სწორედ ამდენი მონაწილეობს და იმედია, სამომავლოდ ერთი საფეხურით მაღლაც ავალთ. ეს ქართველ ბავშვებს მეტი სარეიტინგო ქულების დაგროვების საშუალებას მისცემს და მეტი შანსიც ექნებათ, დიდ ჩოგბურთში შეიბაჯონ“.

ლეილა მესხმა იქვე უფროსებში კაცთა საერთაშორისო ტურნირის აღდგენის შესახებაც გვაცნობა. ორწლიანი შესვენების შემდეგ 15 ათასი დოლარის საპრიზო ფონდიანი საერთაშორისო შეჯიბრი თბილისში ივლისში ჩატარდება.

დავით ნამგალაურმა ჩოგბურთის ფედერაციის მუშაობა და წარმატებები აღნიშნა და მის ხელმძღვანელობასთან ერთად მადლობა ავსტრიის ავიახაზებსაც გადაუხადა ზოგადად ქართული სპორტის განვითარების ხელშეწყობისთვის. ქართველ ჩოგბურთელებს კი წარმატება უსურვა.

ევა ბერგერი: „ჩოგბურთის ფედერაციასთან შეხმატკბილებული მუშაობა ძალიან ადვილია და ამიტომაცაა, ტურნირს ამხელა ისტორია რომ აქვს. მომავალ წელს ავსტრიის ავიახაზებს საქართველოში შემოსვლიდან ათი წელი უსრულდება. ტურნირიც მეათედ ჩატარდება და გაცილებით მეტ სიურპრიზს ვგეგმავთ. საერთოდაც, გვინდა, ყოველი შემდეგი შეჯიბრი წინაზე უკეთესი გამოვიდეს“.

**ოთარ მაღლაკელიძე**

## იანკოვიჩი მომავალზე ფიქრობს

**აწ გასრულებულ** „როლან გაროსზე“ სერბებმა რომ დიდ წარმატებებს მიაღწიეს, არაერთხელ გვითქვამს — ელენა იანკოვიჩი და ნოვაკ ჯოკოვიჩი ნახევარფინალებში გაჩერეს, ანა ივანოვიჩმა კი სულაც ფინალს უწია.

ჰოდა, თავისი და თანამემამულეების წარმატების შემხედვარე იანკოვიჩს გადაუწყვეტია, სერბებს ჩოგბურთის ნიჭი გენებში გვაქვსო და საკუთარ ხელისუფლებას სთხოვს, სპორტის ამ სახეობას მიხედეთ, რომ ჩვენს გოგო-ბიჭებს ზრდისა და განვითარების საშუალება მიეცეთო.

„იმედი მაქვს, სახელმწიფო სათანადო თანხებს გაიღებს საჩოგბურთო ცენტრის ასაშენებლად, სადაც ბავშვებს მთელი წლის განმავლობაში შეეძლებათ ვარჯიში. ნოვაკი, ანა და მე კარგ მაგალითად ვექცევით იმ ბავშვებისთვის, ვისაც ჩოგბურთის თამაში სურს. ძალიან მინდა, რომ მეტი სერბი თამაშობდეს, როგორც ქალთა, ისე კაცთა ტურნირებზე“ — პროპაგანდას ეწევა იანკოვიჩი.

## დავიდენკოს თვალი

**კურიოზითა** და მოულოდნელი საფიქრალით დაიწყო საბალახო სეზონი ნიკოლაი დავიდენკოსთვის — გერმანულ ჰალეს მდელოზე გასულ რუსს პირველივე შეხვედრაში ავსტრიელ იურგენ მელცერის მიერ დარტყმული ბურთი პირდაპირ თვალში მოხვდა (ისე, ამასაც მონდომება უნდა). მოსკოველმა ეს მატჩი ჩაამთავრა და იმარჯვა კიდეც, მაგრამ ჯერ არ გადაუწყვეტია, გააგრძელებს თუ არა ტურნირზე თამაშს.

„თვალი ახლაც მტკივა. ვეცდები, შემდეგი მატჩისთვის მოვირჩინო, მაგრამ თუ ასე არ მოხდა, კორტზე გამსვლელი არ ვარ, რადგან მაღალ დონეზე ვერ ვითამაშებ“.

## მისკინა ბალახის სეზონს გამოტოვებს



**სულ** უკან და უკან მიდის ანასტასია მისკინას საქმეები — ერთ დროს საკმაოდ ანგარიშგასაწევ ძალად მიჩნეული რუსი საკუთარი თავქეიფობისა და გახშირებული ტრავმიანობის გამო რეიტინგში უკვე 76-ე საფეხურამდე ჩამოქვეითდა და ამ რეგრესს კიდევ გააგრძელებს, რადგანაც უიმბლდონზე ვერ ითამაშებს.

რუსის დარად დამდეგ სლემტურნირს გამოტოვებენ ჩინელი ძი ჩენი და იტალიელი რომინა ოპრანდი. ამ სამეულს უიმბლდონის ძირითად ბადეში კოლუმბიელი კატალინა კასტანო, უნგრელი მელინდა ცინკი და ებრაელი ანა სმაშნოვა შეცვლიან.

უიმბლდონის კორტებზე გასვლას ვერ შეძლებს პარადორნ შრიჩაპანიც — ზემოთ ჩამოთვლილთა დარად, არც ეს ტაილანდელი ყოფილა ჯანზე.

## გოლოვინი უიმბლდონამდე დაისვენებს

**ტატიანა გოლოვინი** ისევ ტრავმას იმუშებს — რა ხანია, ახალგაზრდა ფრანგი ფეხს უჩივის, რის გამოც მშობლიური „როლან გაროსის“ გამოტოვება მოუხდა. თუმც გოლოვინი იმედოვნებს, რომ წლის მესამე სლემტურნირისთვის, უიმბლდონისთვის, რომელიც 25 ივნისს დაიწყება, გამოჯანმრთელებას მოასწრებს.

ფრანგი ცდილობს, ტრავმა არ გაიმწვავოს, რის გამოც მომავალ კვირას ისტბორნში თამაშზე უარი განაცხადა.

**კახა ლომაშვილი**



# წადი, ტიმ!

## ფედერერმა ტრადიციას უგანა

**სეზონის** სათიხნარო ნაწილი თითქმის მიილია და გრუნტის ადგილს ახლა ბალახი დაიკავებს — მართალია, არც ისე დიდი ხნით, დაახლოებით ერთი თვით, მაგრამ ფაქტია, რომ უახლოეს პერიოდში ჩოგბურთელებს მხოლოდ ევროპულ მდელოებზე მოუწევთ ჩოგნის ქნევა. ათიოდ დღეში კი წლის მესამე და ყველაზე პრესტიჟული სლემტურნირი უიმბლდონი დაიწყება და სახელიანი თუ უსახელო სწორედ საამისოდ ემზადება.

ოღონდ თავიდან არასათამაშო ამბით უნდა დავიწყოთ — როგორც ჩანს, „როლან გაროსის“ ფინალში წაგებას კიდევ კარგა ხანს ვერ მოინელებს როჯერ ფედერერი. ყოველ შემთხვევაში, საუიმბლდონო მზადებას თანამედროვეობის პირველმა ჩოგანმა უქმად ყოფნა არჩია და საამისოდ ჰალეში თამაშზე უარი განაცხადა. ეს კი ბევრისთვის დიდ სიურპრიზად იქცა, რადგანაც შვეიცარიელს ამ ჩრდილოგერმანულ ქალაქში თამაში ერთგვარ კარგ ტრადიციად ექცა - დიადი ალპელი აქ ეგუებოდა ბალახის საფარს და მერე უიმბლდონზე დაფრინავდა ხოლმე ამ ტაქტიკით „მხიარულმა როჯერმა“ ჰალეში ზედიზედ ოთხჯერ იმარჯვა, რასაც ოთხჯერვე უიმბლდონური ტრიუმფი მიაყოლა. მაგრამ აგერ ახლა ფედერერმა ამ ტრადიციაზე უარი თქვა და ლონდონში რას იზამს, ძნელი სათქმელია — ცრურწმენები იქით იყოს და წლეულს ბალახზე უთამაშებელ შვეიცარიელს ძალიან უნდა გაუჭირდეს ინგლისის დედაქალაქში. თუმც ალპელმა თავისი საქმე ალბათ უკეთესად იცის და ამიტომ უიმბლდონამდე მოვეშვათ მის სათამაშო ფორმაზე მარჩიელობას.

წარმატებით დაიწყო თავისი საბალახო სეზონი ფედერერის ჭირვარამის მთავარმა მიზეზმა რაფაელ ნადალმა. ესპანელი ჯადობიჭი ამ საფარის დიდი მოყვარული არ გახლავთ, მაგრამ შარშან დაამტკიცა, რომ თუ მოინდომა, აქაც ბევრი რამ ხელეწიფება. მალიორკელმა გუშინ არგენტინელი ხუან მარტინ დელ პოტრო ორ სეტში დასცა და საკმაოდ სოლიდური თამაშიც აჩვენა.

აი, 32 წლის ტიმ ჰენმანი კი დროა, სერიოზულად დაფიქრდეს ჩოგბურთიდან წასვლაზე. ბრიტანელი კარგა ხანია, ამბობს, მივდივარო, მაგრამ აქამდე ბოლო ნაბიჯის გადადგმისგან თავს იკავებდა, თუმც ბოლო ხანებში ჰენმანი პირდაპირ ცოდვილობს — ახლაც თავის საყვარელ საფარზე, თან მშობლიური ტრიბუნების წინ თითქმის უცნობმა ხორვატმა მარინ ჩილიჩმა დაამარცხა, რის შემდეგაც ტიმს ასაკი ბევრმა შეახსენა.

პირველი საბალახო გამოცდა წარმატებით ჩააბარა „როლან გაროსის“ ნახევარფინალისტმა ნოვაკ ჯოკოვიჩმაც. ოღონდ ახალგაზრდა სერბს საკმაოდ გაუმართლა, რადგან კოჭის ამოტრიალებამდე რობერტ კენდრიკი ბალკანელს აშკარად ჯაბნიდა. თუმც რაღა გასაკვირია, რომ ტრავმის შემდეგ ამერიკელმა ვერ შეძლო აღებული ტემპის შენარჩუნება და ამიტომ „ქვინს ქლაბის“ ტურნირის მესამე წრეში სერბი გაძვრა.

სამაგიეროდ, დამაჯერებლად იმარჯვა ენდი როდიკმა — ეს ბიჭი წლეულს უიმბლდონს სერიოზულად უმიზნებს და ხუმრობის ხასიათზე სულაც არ არის. იანკობი რადეკ შტეპანეკს ორ სეტში გაუსწორდა.

ფედერერის არყოფნაში ჰალეში საინტერესო ის მოხდა, რომ იქიდან ორი ბობოლა დაიფრინეს — ფრანგ მარკ ჟიკელისგან დავიდ ნალბანდიანის გასილაქება მეტ-ნაკლებად გასაგებია, მაგრამ მეორე ფრანგმა, რიშარ გასკემ როგორ მოახერხა პაკისტანელ აისამ-ულ-ჰაკ ქურეშთან დამარცხება, ხეირიანად ვერავინ ახსნით.

ქალებმა კი ამ კვირაში თავი ბირმინგემსა და ბარსელონაში მოიყარეს. თუმც ინგლისში გაცილებით წარმომადგენლობითი შემადგენლობა შეიკრიბა და ამიტომაც იქაურ ამბებზე გეტყვით — პირველი წრე ადვილად დაძლიეს ტურნირის პირველ-მეორე ნომრებმა, მარია შარაპოვამ და ელენა იანკოვიჩმა.

**კახა ლომაშვილი**



# მორომ დუეტი სოლოდ აქცია

„კრიტერიუმ დოფინი ლიბერეს“ მეორე ეტაპი, რომელიც სენტ პოლ ენ ჟერეზიდან სენტ ეტიენამდე 157 კილომეტრზე იყო გაჭიმული, თანამედროვეობის საუკეთესო ფრანგმა მრბოლმა, AG2R-ის წევრმა კრისტოფ მორომ მოიგო.

ტრასის აქეთ-იქით შეკრებილი მრავალრიცხოვანმა ქომაგი საკმაოდ საინტერესო ბრძოლის მოწმე გახდა. იყო რამდენიმე გაქცევა და ერთ-ერთი იერიშისას ჟერომ პენო და ალექსანდრ კუშინსკი გვარიანად მოწყდნენ პელეტონს. ფინიშამდე 27 კილომეტრით ადრე ამ ორს კიდევ სამნი დაეწივნენ — მორო, კევინ სეელდრაიერსი და ხოსე ანტონიო რედონდო. ამ ხუთეულმა 17 კილომეტრი სინქრონულად იმუშავა და მერე პენომ და კუშინსკიმ ტემპს ველარ გაუძლეს. კიდევ ოთხი კილომეტრის შემდეგ სეელდრაიერსიც ჩამორჩა ტექნიკური მიზეზების გამო და წინ ორნი გაიჭრნენ — მორო და რედონდო.

„სპურტი ფინიშამდე 500 მეტრით ადრე დავიწყე. რედონდო ვერ ამყვა. როგორც ჩანს, რბოლამ ქანცი გააცალა და მე უფრო გამძლე გამოვდექი“ — მსჯელობდა გამარჯვების შემდეგ ფრანგი, რომელმაც ამ წარმატების წყალობით საერთო ჩათვლაშიც პირველ ადგილზე აინაცვლა. რედონდო მეორეა მოროსთან 7-წამიანი ჩამორჩენით, ხოლო ყოფილი ლიდერი, პროლოგის მომგები ბრიტანელი ბრედლი ვიგინსი ლიდერთან 24 წამს აგებს.

ვიგინსმა ფინიშს მოროსა და რედონდოს შემდეგ 33 წამის დაგვიანებით, ძირითად ჯგუფთან ერთად უწია. ამ ჯგუფმა ეტაპზე მესამე ადგილის მფლობელი გამოავლინა და ყველაზე მარდი ესპანელი ალეხანდრო ვალვერდე აღმოჩნდა, რომელიც ამ წუთისთვის საერთო ჩათვლაში მეშვიდე ადგილზეა ლიდერთან 27-წამიანი ჩამორჩენით. მასზე წინ პირველი სამეულის გარდა ამერიკელი ლევი ლეიფჰემერი, ყაზახი ანდრეი კაშეჩკინი და მეორე ამერიკელი ჯორჯ ჰინკეიპიც არიან. კიდევ ერთი ფავორიტი, კაშეჩკინის თანამემამულე და თანაგუნდელი ალექსანდრ ვინოკუროვი მოროსთან 33 წამს აგებს და მე-20 ადგილზე იმყოფება.



## მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევი ტურნირი

ელისტა. რუსეთი. 26 მაისი – 13 ივნისი. მეორე ეტაპი

# გრიშჩუკმა რუბლევსკი გაშავა

## პრეტენდენტები მექსიკაში კომპიუტერებმაც გააცილეს

VI ტური

| | | | |
|---|---|---|---|
| ალექსეი შიროვი (ესპანეთი) | 0,5:0,5 | (3,5:2,5) | ლევონ არონიანი (სომხეთი) |
| სერგეი რუბლევსკი (რუსეთი) | 0,5:0,5 | (3:3) | ალექსანდრ გრიშჩუკი (რუსეთი) |

ტაი-ბრეიკი

| | | |
|---|---|---|
| სერგეი რუბლევსკი (რუსეთი) | 0,5:2,5 | ალექსანდრ გრიშჩუკი (რუსეთი) |




**ელისტაში** პრეტენდენტთა ტურნირი დასრულდა და ის ოთხი საუკეთესო მოჭადრაკე გამოვლინდა, რომლებიც სექტემბერში მსოფლიოს ჩემპიონატზე გაემგზავრებიან. ჩემპიონატს მექსიკა უმასპინძლებს და მისი საპრიზო ფონდი 1,3 მილიონი დოლარი იქნება.

მექსიკაში სულ 8 დიდოსტატი ითამაშებს, საიდანაც ოთხი შესარჩევი ეტაპების გარეშე დაუშვეს, ოთხიც ელისტიდან დაემატათ. მსოფლიოს ჩემპიონი ვლადიმირ კრამნიკი, ვიშვანათან ანანდი, პიოტრ სვიდლერი და ალექსანდრ მოროზევიჩი პირდაპირ მოხვდნენ მექსიკაში. პეტერ ლეკომ, ბორის გელფანდმა, ლევონ არონიანმა და ალექსანდრ გრიშჩუკმა კი პრეტენდენტთა ტურნირში იმარჯვეს.

პირველებმა საგზური ლეკომ და გელფანდმა გაინაღდეს. მეორე ეტაპზე მათ სულ ხუთი პარტია ჩაატარეს და მეტოქეები დროზე ადრე დაამარცხეს. არონიანმა ბოლო პარტიაში მოიპოვა მექსიკის საგზური, გრიშჩუკს კი ტაიბრეიკები დასჭირდა.

პირველ შეხვედრაში ალექსანდრემ შავი ფიგურებით იმარჯვა, მეორე ყაიმით დაასრულა, მესამეში კვლავ შავებით მოიგო და რუბლევსკი ჩემპიონატს მიღმა დატოვა.

ელისტაში ერთი მეტად საინტერესო მატჩიც დასრულდა. ერთმანეთს კომპიუტერული პროგრამები Deep Fritz და Deep Junior დაუპირისპირდნენ. როგორც მოსალოდნელი იყო, გამარჯვება კომპიუტერებში მსოფლიოს ხუთგზის ჩემპიონ Junior-ს დარჩა და მისმა კონსტრუქტორმა საპრიზო 60 ათასი დოლარიც აიღო. Junior მეტსახელად „პატარამ“ ექვსი პარტია ჩაატარა, საიდანაც ორი მოიგო და ოთხი ყაიმით დაასრულა.

ცნობისთვის, ნოემბერში Deep Fritz მსოფლიოს აბსოლუტურ ჩემპიონ ვლადიმირ კრამნიკს შეხვდა და 4:2 მოუგო. ელისტაში დასრულებული მატჩის შემდეგ კი ხუმრობდნენ, „პატარამ“ კრამნიკის ჯავრი იყარაო.

**ლაშა გეგეჭკორი**



## ჩელიოსის კიდევ ერთი

**ნჰლ-ის** ყველაზე ასაკიანი ჰოკეისტი კრის ჩელიოსი სულაც არ გეგმავს ყინულის მიტოვებას. უკვე ცოცხალ ლეგენდად ქცეულმა 45 წლის ამერიკელმა ორიოდ დღის წინ ერთწლიანი და 850 000 ათასიანი კონტრაქტი გააფორმა „დეტროიტთან“.



ისე, ახლახან გასრულებულ პლეი ოფში ჩელიოსის მიერ ჩადენილ გმირობებს თუ გავითვალისწინებთ, გასაკვირი სულაც არ არის, „წითელფრთიანების“ ხელმძღვანელობამ ვეტერანის დატოვება რომ გადაწყვიტა.

ჩელიოსისთვის ეს უკვე 24-ე სეზონი იქნება. სულ კი ნჰლ-ში ჩატარებულ 1 547 მატჩში კრისის ანგარიშზე 187 შაიბა და 754 შედეგიანი გადაცემაა.

## დეტროიტში ჰაშეკი არ ეთმობათ

**„დეტროიტის“** გენერალური მენეჯერი კენ ჰოლანდი იმედოვნებს, რომ ჩელიოსის მაგალითს მიბაძავს გუნდის კიდევ ერთი სუპერვეტერანი, 42 წლის დომინიკ ჰაშეკი. „დომინატორმა“ შარშან დაამტკიცა, რომ მარტო უმაღლეს დონეზე თამაში კი არა, სეზონის უტრავმოდ გალევაც შეუძლია.

ჰოდა, რაღა გასაკვირია, რომ ჰაშეკის დარჩენა ყველას უნდა — ამაზე პირდაპირ განაცხადეს „დეტროიტის“ მოთამაშეებმაც და მწვრთნელმა მაიკ ბებკოკმაც. თუმც ჰაშეკმა მოსაფიქრებლად დრო ითხოვა, დაახლოებით ამ კვირის ბოლომდე — ყოველ შემთხვევაში, თავად ჰოლანდი ჰაშეკის გადაწყვეტილებას ამ დროისთვის ელოდება.

პრინციპში, თითქმის დარწმუნებით შეიძლება ითქვას, რომ „დომინატორი“ ერთი წლით კიდევ დარჩება ჰოკეიში.

## სუნდინი ტორონტოში რჩება




**როგორც იქნა,** დასრულდა მოლაპარაკებები „ტორონტოსა“ და კაპიტან მატს სუნდინს შორის — მთელი გასული სეზონის განმავლობაში ჭორები დადიოდა, რომ მათი გზები გაიყრებოდა. თუმც მინიმუმ ერთი წლით ამას ახლენა არ უწერია — სუნდინმა ერთწლიანი და 5,5 მილიონიანი კონტრაქტი გააფორმა კანადურ გუნდთან, რომელშიც 1994 წლიდან თამაშობს და აქამდე ჩატარებულ 11 რეგულარულ ჩემპიონატში 72 ქულაზე ნაკლები არასდროს დაუგროვებია.

სუნდინისთვის კი ამ კონტრაქტში მთავარი ისაა, რომ „ტორონტოს“ მისი ნებართვის გარეშე არ შეეძლება შვედის სხვა გუნდში გაცვლა.

## იაშინს მთხოვნელები გამოუჩნდნენ

**ცოტა ხნის წინ** „ნიუ იორკ აილენდერსმა“ უარი თქვა თავის კაპიტან ალექსანდერ იაშინის სამსახურზე, თუმც საამისოდ ჯიბის შემსუბუქება დასჭირდა, რადგან რუსის კონტრაქტი გამოისყიდა — მოკლედ, „კუნძულელებმა“ იაშინს თავიდან მოსაშორებლად თითქმის 20 მილიონი გადაუხადეს.

თუმც საეჭვოა იაშინის ნჰლ-ური კარიერა ამათ დამთავრდეს. მართალია, რუსს სამშობლოშიც და ევროპაშიც ეპატიჟებიან, მაგრამ მას მთხოვნელები ოკეანისგაღმეთშიც ჰყავს — „ვაშინგტონი“, „ლოს ანჯელესი“, „ატლანტა“ და „ფლორიდა“.

## ანაჰაიმური ამბები

**ახალგაჩემპიონებული** „ანაჰაიმის“ გენერალურმა მენეჯერმა ბრაიან ბურკმა სამართლიანად ჩათვალა, რომ გამარჯვებული შემადგენლობის შეცვლას არანაირი აზრი არ აქვს და ამიტომ თავისუფალი აგენტების გუნდში დატოვებაზე დაიწყო ზრუნვა — კალიფორნიაში კიდევ ორი წელი დარჩებიან თავდასხმელები — ტრევის მოენი და ჯორჯ პაროსი. თუმც ბურკის მთავარი საზრუნავი ახლა იწყება, რადგან მას ძირითად მეკარე ჟან-სებასტიან ჟიგერთან მოუწევს ახალ კონტრაქტზე მოლაპარაკება.

## ბეტმენს ხელფასი გაუზარდეს

**ნჰლ-ის** კლუბების მფლობელებმა გადაწყვიტეს, ლოკაუტის შემდეგ არსებული პრობლემების წარმატებით მოგვარებისთვის ხელფასი 2 მილიონით გაუზარდონ ლიგის კომისარ გერი ბეტმენსა და მის მოადგილე ბილ დეილის.

ასე რომ, ბეტმენის ხელფასმა ახლა 5,9 მილიონს მიუკაკუნა. პოსტის დატოვების შემთხვევაში კი მოქმედ კომისარს პენსიის სახით 400 000 დოლარი დაენიშნება.

**კახა ლომაშვილი**


ანტონიეტა დი მარტინომ სარა სიმეონის იტალიური რეკორდი დაამხო

# კაისას დევნაში ანტონიეტა სარას გადაახტა

**გასულ უქმეებზე** იტალიურ ტურინში იააფ-ის (მძლეოსნობის საერთაშორისო ფედერაცია) ყოფილი პრეზიდენტის პრიმო ნებიოლოს ტრადიციული მემორიალი ჩატარდა და შეჯიბრის მშვენებად სიმაღლეზე მხტომი ქალების — შვედი კაისა ბერგკვისტისა და იტალიელი ანტონიეტა დი მარტინოს დუელი იქცა.

მძლეოსნობის შვედი ვარსკვლავი წლეულს, ფაქტობრივად პირველად გამოჩნდა სახტომ სექტორში. შარშან პირიქით იყო — კაისამ სეზონი ადრე და მეტად შთამბეჭდავად დაიწყო, რის შემდეგაც განაცხადა, წლეულს მსოფლიოს რეკორდს შევუტევო, მაგრამ მერე კრიზისი დაეწყო და ბელგიელი ტივ ელებუს, ხორვატი ბლანკა ვლასიჩისა და ბულგარელი ვენელინა ვენევას ჩრდილში მოექცა. ბერგკვისტმა ვერც რეკორდი დაამყარა და მშობლიურ გიოტებორგში გამართულ ევროჩემპიონატზეც, მხოლოდ ბრინჯაოთი დაკმაყოფილდა.

ალბათ შარშანდელი გამოცდილებიდან გამომდინარე, კაისამ წლეულს გრაფიკი შეცვალა და მაშინ, როდესაც იგივე ვლასიჩი უკვე რამდენჯერმე ასცდა ორმეტრიან ნიშნულს, შვედმა პირველი სერიოზული სტარტი ახლაღა აიღო.

მშვენიერი დასაწყისი გამოუვიდა ბერგკვისტს — 202 სანტიმეტრ სიმაღლეს გადაევლო და პირველი ადგილი დაიკავა, მაგრამ უფრო მეტი ტაში დი მარტინოს შეხვდა, რომელმაც სახელოვან მეტოქესთან მხოლოდ ცდათა მეტი რაოდენობის გამო წააგო და რაც მთავარია, ლეგენდარული სარა სიმეონის 29-წლიანი ეროვნული რეკორდი დაამხო.

1980 წლის მოსკოვის ოლიმპიადის ჩემპიონმა სამეონიმ ოლიმპიადამდე ორი წლით ადრე 201 სმ სიმაღლე აიღო და მას შემდეგ ეს შედეგი იტალიის რეკორდად იწოდებოდა. და აი, ბერგკვისტთან დუელში ანტონიეტა დი მარტინომ სარას შედეგი ერთი სანტიმეტრით გააუმჯობესა და უმალ ეროვნულ გმირად იქცა.

ტურინში ნაჩვენები სხვა აღსანიშნავი შედეგებიც მხტომელებს ეკუთვნით — კუბელი სამხტომელი ქალი იერხელის სავინე 14,65 მეტრზე გაფრინდა, ხოლო იტალიელმა სიგრძეზე მხტომელმა კაცმა ენდრიუ ჰოუმ 8,25 მეტრი აჩვენა.

# ბრაზილიური მედალთცვენა


კეილა კოშტა

**მასპინძლების,** ბრაზილიელი მძლეოსნების სრული ტრიუმფით დასრულდა სან პაულოში ჩატარებული სამხრეთ ამერიკის ჩემპიონატი. ბრაზილიელებმა 28 ოქროს, 17 ვერცხლისა და 16 ბრინჯაოს, ანუ ჯამში 61 მედალი მოიტოვეს და შორს მოიტოვეს მეორე და მესამე ადგილებზე გასული კოლუმბიელები (7,10,9) და არგენტინელები (4,5,4).

ცალკეულ შედეგებზე თუ მიდგება საქმე, სამხრეთ ამერიკის რიგით 45-ე პირველობა დიდად ვერ დაიტრაბახებს, გამოსარჩევი რამდენიმე სპორტსმენის ნაჩვენები შედეგი თუ იყო.

პირველ რიგში მასპინძელი სამხტომელი ქალი კეილა კოშტა უნდა გამოვყოთ, რომელმაც სამი ნახტომის ჯამში 14,57 მეტრი აჩვენა და კონტინენტის რეკორდი დაამყარა. ქალთა ჭოკით ხტომა 4,50 მეტრი დიდი ვერაფერი შედეგია, მაგრამ ისიც სათქმელია, რომ ბრაზილიელი ფაბიანა მურერი ტრავმის შემდეგ დაუბრუნდა სახტომ სექტორს. ისე, ამ მურერმა თებერვალში, პარიზის ჭერქვეშა შეჯიბრზე 4,66 მეტრიც აჩვენა და ჩანს, რომ მეტიც შეუძლია.

# ორგვარიანმა გულნარამ ორი წელი დაივიწყა

**მოსკოვის** ოლქის ქალაქ ჟუკოვსკში 49-ედ ჩატარდა ძმები ზნამენსკების მემორიალი. თუ ადგილობრივებს არ ჩავთვლით, შემადგენლობა საკმაოდ უფერული იყო — მძლეოსნობის დიდვარსკვლავებმა რუსეთში ჩასვლა იუარეს, მაგრამ თავად რუსებმა ივარგეს და ტურნირი რამდენიმე, საკმაოდ მაღალი შედეგით დაამშვენეს.


გულნარა სამიტოვა-გალკინა

მთავარი ამბავი ქალთა 3000 მეტრზე სტიპლჩეიზში, ანუ წინაღობებით რბოლაში მსოფლიოს რეკორდსმენის, გულნარა სამიტომა-გალკინას დაბრუნება იყო. გულნარამ, ვისაც ეს ურთულესი დისტანცია 9 წუთსა და 01,59 წამში აქვს გარბენილი, ორი წელი ტრავმების გამო გამოტოვა და ახლაღა გამოჩნდა სარბენ ბილიკებზე. დაბრუნება უაღრესად შთამბეჭდავი გამოვიდა — ორგვარიანმა რუსმა 9.14,37 დრო აჩვენა, რაც ისტორიაში მეოთხე შედეგი გახლავთ. ეგ რა არის, 9 წუთიდანაც შემიძლია გამოსვლაო, ამბობდა ფინიშის შემდეგ გულნარა, ვისაც, რომ ჰკითხეს, ამ სეზონში მთავარი მეტოქე ვინ გეყოლებაო, უგანდელი დოკუს ინზიკურუუ, ასე უპასუხა.

ივარგა მსოფლიოს რეკორდის მფლობელმა კიდევ ერთმა რუსმა დიაცმა ტატიანა ლისენკომაც, რომელმაც ურო 77,01 მეტრზე გატყორცნა, რაც მისსავე წლეულს დამყარებულ რეკორდს მეტრითა და 60 სანტიმეტრით კი ჩამოუვარდება, მაგრამ მაინც გვარიანი შედეგია.

# ჰაილემ ბერლინს დაუდასტურა



**სპორტსმენობაშივე** ლეგენდად ქცეულმა ეთიოპიელმა სტაიერმა, 34 წლის ჰაილე გებრსელასიემ სექტემბერში გასამართ ბერლინის სუპერმარათონში მონაწილეობაზე დასტური ბრძანა.

ახალგაზრდობაში 10-კილომეტრიანი დისტანციის დამპყრობი ჰაილე ბოლო წლებში მარათონებს უფრო ეტანება და რამდენიმე პრესტიჟული გარბენიც მოიგო. მათ შორის ყველაზე სახელიან გამარჯვებად სწორედ ბერლინის მარათონის მოგება ჩაეთვლება. შარშან მან გერმანიის დედაქალაქში 40 ათას მორბენალს აჯობა, 42-კილომეტრიანი გზა 2 საათში, 5 წუთსა და 56 წამში გაირბინა და სეზონის რეკორდიც დაამყარა, ამასთან ყველა დროის მეხუთე შედეგიც აჩვენა და რა გასაკვირია, რომ ასე კარგად დაცდილ შეჯიბრში კვლავ მონაწილეობის სურვილი ხალისით გამოთქვა.

ბერლინი მსოფლიოში ერთ-ერთი ყველაზე „სწრაფ“ მარათონად ითვლება. სწორედ იქ დამყარდა მსოფლიო რეკორდი — ჰაილეს მარადიულმა მეტოქემ, კენიელმა პოლ ტერგატმა 2003 წელს 2:04.56 შედეგი აჩვენა. ეს მსოფლიო რეკორდი 4 წელია, ხელშეუხებლად რჩება. ჰაილეს შარშან ტერგატის უნიკალურ მიღწევამდე მხოლოდ 1 წუთი და 1 წამი დააკლდა და ბევრი იმედოვნებს, რომ დიდ ეთიოპიელს ასაკი ხელს არ შეუშლის, კენიელის შედეგს ერთხელაც შეუტიოს.

ისე, ჰაილეს უდიდეს მიღწევებად მაინც 10 კილომეტრზე რბენისას მოპოვებული ტიტულები ჩაეთვლება — 1996 და 2000 წლებში მან ამ დისტანციაზე ატლანტასა და სიდნეის ოლიმპიადებზე იჩემპიონა, 1993, 95, 97 და 99 წლებში კი ზედიზედ ოთხი მსოფლიოს ჩემპიონატი მოიგო.

**კოტე ყორშია**

სარბიელი
სპორტული გაზეთი
გამოიცემა 1990 წლის 28 დეკემბრიდან
გამოდის ორშაბათს, სამშაბათს, ოთხშაბათს, ხუთშაბათს, პარასკევს და შაბათს

გამომცემელი ზურაბ ფოცხვერია
დირექტორი გიორგი ოქრომჭედლიძე
მთავარი რედაქტორი თამაზ მიგრიაული
პასუხისმგებელი რედაქტორი კახა შალამბერიძე
ტექნიკური რედაქტორი მამუკა გუბელაძე
ქართული ფეხბურთის რედაქცია: კობა ინასარიძე, ილია ნანობაშვილი, მიხეილ ქორქოლიანი
უცხოური ფეხბურთის რედაქცია: გიო ახვლედიანი, ილია ბაბუნაშვილი, გიორგი დარჯანია, გიორგი ვაშაკიძე, გიორგი კაკაბაძე, ლადო ხომერიკი, ვაჟა ხუციშვილი
ინფორმაციის რედაქციის რედაქტორი: გიორგი ბერიკაშვილი
ინფორმაციის რედაქცია: გია ახალაძე, ავთანდილ გურასაშვილი, ოთარ მაღლაკელიძე, ირაკლი პერტაია, ბაჩო ხვანიძე, ირაკლი ფირაშვილი
ფოტორეპორტიორები: გურამ დოლენჯაშვილი, ბადრი კეთილაძე
სტილისტები: ნათელა გიორგობიანი, ლალი გოზალიშვილი
კომპიუტერული ცენტრი: ლეილა ბეგლაროვა, ლია ბესელია, ხათუნა ბუხუნიშვილი, მაგდა დოგრაშვილი, რუსუდან ქრისთავი, ზეიად მოსიაშვილი, თამარ ქინქლაძე, ზურაბ წერეთელი
სარეკლამო სამსახური: 38-11-14, 877 54 55 00

რედაქციის მისამართი: თბილისი, ალექსანდრე ყაზბეგის გამზირი 42, II კორპუსი, IV სართული.
საფოსტო მისამართი: თბილისი — 79, საფოსტო ყუთი 208. ტელეფონი: 39 48 29
ელექტრონული ფოსტა sarbieli@gol.ge
ელექტრონული ვერსია http://www.sarbieli.com.ge